# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRESP.GE

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№113-114 (10116-10117) 2026 წლის 24 აგვისტო, ორშაბათი


# ჩვენ აფხაზეთი კი არა, აფხაზები უნდა დავიბრუნოთ!

ეროვნული ვალუტის კუპიურებს აფხაზური წარწერაც უნდა ამშვენებდეს! 4






5 ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების თანაცხოვრების ისტორიიდან



3 ნუგზარ რუხაძე

## 90 წლის ქართველი მკვლევრის სადოქტორო დისერტაცია

ბესარიონ კილასონია 10



## პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ლინგვისტური კარტოგრაფია:

## როგორ ქმნის ენა პოლიტიკურ საზღვრებს ცნობიერებაში 12



შეცდომაა – „ГРУЗИЯ СНАБЖАЕТ АБХАЗИЮ БЕНЗИНОМ“

## როგორ შეიძლება მწეველთა ქცევის ცვლილებამ ჯანდაცვის ხარჯები 722 მილიონი ევროთი შეამციროს 13

რევაზ მახარობლიძე 6



## გამორჩეული მეცნიერი და ღვაწლმოსილი მკვლევარი

თეიმურაზ ქორიძე




## 8 „...დაფიქრდი(თ), ტაეპში სიბრძნე დევს თემოსი“

კონსტანტინე გამსახურდია



7 ომარ შურღაიას მოაზროვნე წიგნი



# აბასთუმნის განვითარების ფუძის ჩამყრელი ფონდი „ქართუ“ და ბიძინა ივანიშვილია

**საქართველოს მთავრობისთვის აბასთუმნის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. კურორტზე მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრი რევაზ სოხაძე გაეცნო.**

მინისტრმა აბასთუმნის შემოვლითი გზის, ობსერვატორიამდე მისასვლელი გზისა და ასათიანის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები დაათვალიერა და საქართველოს პარლამენტის წევრებთან, ადგილობრივი ხელისუფლების, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და კონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე აბასთუმნის ურბანული განახლების პროგრამით დაგეგმილი სამუშაოებიც განიხილეს. აბასთუმნის შემოვლითი გზის პროექტში არსებული შეფერხებების გამო საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ორ კომპანიასთან ხელშეკრულება შეწყვიტა.

**სამუშაოები ახალმა კონტრაქტორმა უკვე დაიწყო და 2027 წლის შემოდგომაზე გზის მშენებლობა დასრულდება. 17-კილომეტრიანი შემოვლითი გზის დასრულებით აბასთუმანსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტს შორის სრულფასოვანი სატრანსპორტო კავშირი შეიქმნება.**

მინისტრის განცხადებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროექტირებისა და მშენებლობის ხარისხს, რათა ინფრასტრუქტურა იყოს გამძლე და გრძელვადიანი.

**„ჩვენთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომ ეს ყველაფერი განხორციელდეს ხარისხიანად, იყოს გამძლე და გაუძლოს მრავალ ათეულ წელს“,** – განაცხადა რევაზ სოხაძემ.

**აბასთუმნის განვითარებას ხელს უწყობს კერძო სექტორის მზარდი აქტივობაც. კურორტზე ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობა მიმდინარეობს, რაც ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად აბასთუმნის ახალი ტურისტული ცენტრის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ინფრასტრუქტურის მინისტრმა მადლობა გადაუხადა „ქართუ ფონდსა“ და ბიძინა ივანიშვილს აბასთუმნის განვითარებაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციებისა და კურორტის აღორძინების პროცესის საფუძვლის ჩაყრისთვის.**






# ლევან დარსალია: საბაგიროები აქტიურად ემსახურებიან დამსვენებლებს!



**„მთის ტრასების სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი მიზანია როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის სეზონის განვითარება,“** – განაცხადა მთის ტრასების სააგენტოს (MTA) დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **ლევან დარსალიამ** კურორტ გოდერძიზე ზაფხულის სეზონისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. მთის ტრასების სააგენტოს ორგანიზებით, ალპურ ზონაში სტუმრებისთვის მრავალფეროვანი აქტივობები მოეწყო. ქართველმა შეფმზარეულებმა აჭარული სამზარეულოს გამორჩეული კერძების კულინარიული მასტერკლასები ჩაატარეს.

**„გოდერძიზე არსებული საბაგიროები აქტიურად ემსახურებიან დამსვენებლებს. აღნიშნული ღონისძიება ემსახურება ზაფხულის სეზონის განვითარებას და ხელს უწყობს ტურისტებისთვის საინტერესო აქტივობების შეთავაზებას. „ჰმ თი ეის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანია როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის სეზონის განვითარება. შესაბამისად, ჩვენ ვგეგმავთ ანალოგიური ღონისძიებების ჩატარებას არა მხოლოდ გოდერძიზე, არამედ ჩვენ მიერ ოპერირებად სხვა კურორტებზეც“,**
– განაცხადა **ლევან დარსალიამ.**

# ევროპაში გაჩენილმა ხანძრებმა ახალი სასიკვდილო საფრთხე გამოავლინა!

**ევროპაში გაჩენილმა დამანგრეველმა ხანძრებმა ახალი, პოტენციურად სასიკვდილო საფრთხე – პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროინდელი აუფეთქებელი საბრძოლო მასალა გამოავლინა,** – ინფორმაციას Euronews-ი ავრცელებს.



ბოლო თვეების განმავლობაში, დასავლეთ ევროპის უზარმაზარი ტერიტორიები ცეცხლში იყო გახვეული, რადგან კონტინენტი მაღალ ტემპერატურას და გვალვას ებრძოდა. მედიის ინფორმაციით, **მეხანძრეები დამატებითი საფრთხის წინაშე დგანან, რაც აუფეთქებელი საბრძოლო მასალით არის გამოწვეული. მედიის ცნობითვე, აფეთქებების შესახებ ინფორმაცია საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან და ნიდერლანდებიდან გავრცელდა.**

**სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში, ბორდოსთან ახლოს გაჩენილი ხანძრის შედეგად, საბრძოლო მასალის საწყობი აღმოაჩინეს, რომელიც, სავარაუდოდ, მეორე მსოფლიო ომის დროინდელია. აღმოსავლეთ ბელგიაში, ლიეჟის პროვინციაში, ადგილობრივმა გუბერნატორმა ერვე ჟამარმა განაცხადა, რომ საგანგებო სამსახურებს ხანძრის ზონაში დამარხული საბრძოლო მასალის საფრთხის ფონზე უწევთ მუშაობა და ბოლო დროს რამდენიმე აფეთქების ხმაც გაისმა.**

**ლიეჟში ყველაზე ძლიერი ხანძარი ჰოეს ფენის ჭაობების რეგიონში გაჩნდა, რომელიც გერმანიის საზღვარს კვეთს. მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ბრძოლა, სწორედ ჰოეს ფენის ჭაობების და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა.**

ევროპაში, მეორე მსოფლიო ომის დროინდელ სამხედრო აღჭურვილობასა და იარაღს გვალვებიც ავლენს. მდინარეების დონის დაწევის შედეგად, გამოჩნდა გერმანული გემები, ვერმახტის მოტოციკლი და ბომბები. არიზონას უნივერსიტეტის მკვლევარმა **კრისტინა გრინმა** განაცხადა, რომ კლიმატის ცვლილების გამო, **„ომის მემკვიდრეობა კვლავ გროვდება“.**

# გაერო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას!



**გაეროს უშიშროების საბჭომ დახურულ სხდომაზე რუსეთ-საქართველოს ომის მე-18 წლისთავთან დაკავშირებით რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე არსებული ვითარება და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხი განიხილა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.**

სამინისტროს ცნობით, სხდომის ფარგლებში გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწემ ახლო აღმოსავლეთის, ევროპის, ამერიკის, აზიისა და ოკეანეთის საკითხებში, მოჰამედ ხალედ ხიარიმ გააკეთა მოხსენება და საბჭოს წევრებს ადგილზე არსებული ვითარებისა და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესის შესახებ განახლებული ინფორმაცია მიაწოდა.

საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, სხდომის დასრულების შემდეგ მედიასთან ერთობლივი განცხადებით წარდგნენ უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების – გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის, ლატვიის, დანიისა და საბერძნეთის, ასევე საბჭოს მომავალი წევრი ქვეყნების – ავსტრიისა და პორტუგალიის წარმომადგენლები.

„ზემოხსენებული ქვეყნების წარმომადგენლებმა განცხადებაში აღნიშნეს, რომ 18 წელი გავიდა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების, სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიიდან და შემდგომი უკანონო ოკუპაციიდან. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოში შეჭრამ აჩვენა რუსეთის უფრო აგრესიული პოლიტიკის დასაწყისი მეზობლების მიმართ. რუსეთი აგრძელებს ამ გზას უკრაინის წინააღმდეგ თავისი არაპროვოცირებული და გაუმართლებელი აგრესიით და მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ განხორციელებული უპასუხისმგებლო და სახიფათო ქმედებებით.

**განცხადებაში მტკიცედ არის მხარდაჭერილი საქართველოს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. დაგმობი-**

№113-114. ორშაბათი, 24 აგვისტო, 2026 წელი
წლები მისი სიმდიდრეა!
საქართველოს რესპუბლიკა



# „რეალპოლიტიკა, როგორც მე-20 საუკუნის მსოფლიო წესრიგის საფუძველი“



**გრიგოლ (გრიშა) ონიანმა, ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ძველმა სტალინელმა, 90 წლის საპატიო ასაკში, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა შთამბეჭდავი სათაურით „რეალპოლიტიკა, როგორც მე-20 საუკუნის მსოფლიო წესრიგის საფუძველი“, რომელიც მან თავის 90 წლის იუბილეს მიუძღვნა.**

## 90 წლის ქართველი მკვლევრის სადოქტორო დისერტაცია

**ღონისძიება 25 ივლისს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა, რომელსაც 200-მდე მოწვეული სტუმარი ესწრებოდა. ნაშრომის ოფიციალური ხელმძღვანელი იყო პროფესორი თამარ კიკნაძე, ხოლო დისერტაციის ოპონენტები – პროფესორები ედიშერ გვენეტაძე და ვახტანგ გურული. შედეგად, ონიანს დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა.**

მთელი პროცესი დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა, რაც მოიცავდა დისერტაციაში წამოჭრილი აქტუალური საკითხების ცხარე განხილვას, ასევე, სადისერტაციო საბჭოს წევრებისა და აუდიტორიის მიერ დასმულ რთულ შეკითხვებს. მოსაზრებები მკვეთრად გაიყო. დისკუსია ჭეშმარიტად საჯარო ხასიათისა იყო, რაც გასაკვირი არც არის, რადგან ეს გახლდათ იოსებ სტალინის შესახებ საჯაროდ გამოთქმული პირველი დადებითი შეფასება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ მისი დაგმობის შემდეგ.

მტკიცე ხასიათის ხანდაზმული მეცნიერი თავდაჯერებულად და მშვიდად საუბრობდა. მისი გამოსვლა გამორჩეულად გაწონასწორებული და აკადემიური იყო. სტოიკური სიმშვიდითა და დამაჯერებელი არგუმენტებით პასუხობდა ყველა იმ კითხვას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში განზრახ პროვოკაციული და ძნელად საპასუხო იყო.

გულწრფელად რომ ითქვას, სასიხარულოა იმის აღიარება, რომ 90 წლის, ჩვენს გვერდით მყოფ ადამიანს ასეთი გმირობის უნარი შესწევს. მართლაც რომ გიგანტური მიღწევაა! მაგრამ, ჩვენ, უბრალოდ, მისი ასაკი კი არ მიგვაჩნია განსაკუთრებულ მოვლენად, არამედ ის, რომ ქვეყნის საზოგადოებრივ პოლემიკაში მისი ინტელექტუალური და პოლიტიკური აქტიურობა, ამდენი წლის განმავლობაში, უწყვეტად გრძელდება.

გრიშნა ონიანი, ისევე, როგორც ბევრი ჩვენგანი, საბჭოთა განათლებისა და შრომითი სისტემის ნაყოფია. მან ამ თავისებური რეჟიმის ყველა ეტაპი გამოიარა, თუმცა, არასოდეს შეუცვლია საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვადასხვა თაობა იოსებ სტალინის წინააღმდეგობრივ ფიგურას სრულიად განსხვავებულად აფასებდა.

პროფესიით აგრონომმა, გრიგოლ ონიანმა საბჭოთა პერიოდში, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობასთან ერთად, პოლიტოლოგიითაც დაიწყო აქტიური დაინტერესება. ამავე პერიოდში ჩამოუყალიბდა მტკიცე და შეურყეველი სტალინისტის სახელი, რომელსაც საზოგადოებრივ საქმიანობაში განსაკუთრებული აქტიურობა ახასიათებდა. მან დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია „სტალინელი“, რომელსაც დღემდე უწყვეტად ხელმძღვანელობს.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკიდურესად აქტიური გრიგოლ ონიანი წერდა სტატიებს გაზეთებსა და ჟურნალებში, აძლევდა ინტერვიუებს, აქტიურად იბრძოდა სტალინის ძეგლების აღმართვისა და შენარჩუნებისთვის, მონაწილეობდა რადიო და ტელეგადაცემებში, ხშირად კამათობდა ჟურნალისტებთან და სხვადასხვა პოლიტიკურ აქციაშიც ერთვებოდა.

გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, გრიგოლ ონიანს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, სვანეთში მდებარე საკუთარ მამულში, იოსებ სტალინის დიდი ქანდაკება უდგას. ამ ადგილს ხშირად სტუმრობენ ტურისტები, რომელთაც ამ მონუმენტის ნახვა აინტერესებთ.

მართლაც რომ გასაოცარია, რომ სადღაც, საქართველოს მთებში, 90 წლის კაცი საკუთარ ეზოში აღმართულ სტალინის ქანდაკებასთან ზის და, ამავდროულად, სადოქტორო დისერტაციას იცავს იმ საბჭოთა ლიდერზე, რომლის ფიგურაც დღემდე მთელს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საკამათო თემად რჩება!

აღსანიშნავია, რომ იგი მრავალი წელია დაჟინებით ცდილობს, სტალინის მონუმენტი დაუბრუნდეს იმ ადგილს, სადაც ადრე იდგა, ქალაქ გორის ცენტრში, სტალინის დაბადების ადგილზე... სწორედ გორში მდებარეობს სტალინის დიდი და მდიდარი მუზეუმი, რომელიც დღეს მსოფლიოში მოქმედი ერთადერთი ასეთი მუზეუმია.

ბატონ გრიგოლს მიაჩნია, რომ სტალინი დავიწყებას არ უნდა მიეცეს და ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მრავალ არგუმენტს იშველიებს. მის ფართოდ განხილულ სადოქტორო ნაშრომში, იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ სტალინი რეალპოლიტიკის ნამდვილი პრაქტიკოსი იყო.

ხანდაზმული ადამიანების გარკვეული ნაწილი საბჭოთა პერიოდს ნოსტალგიით იხსენებს, თითქმის საყოველთაო დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, იაფი საცხოვრებლის, განათლების, სტაბილურობისა და სხვა მსგავსი მიზეზების გამო, თუმცა, გრიგოლ ონიანი ამით არ შემოიფარგლება. ის უბრალოდ სტალინის მოყვარული მოხუცი კი არ არის, არამედ ამ საკითხის აქტიური დამცველი და დებატებში ჩართული მტკიცე სტალინისტია.

იგი არასოდეს დაკმაყოფილდებოდა ისეთი მარტივი განცხადებით, როგორიცაა: „საბჭოთა ხელისუფლების დროს ცხოვრება უკეთესი იყო.“ მისი მთავარი არგუმენტია, რომ სტალინი დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო და რომ სტალინიზმი თანამედროვე პოლიტიკისთვისაც მნიშვნელოვან გაკვეთილებს შეიცავს.

ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სტალინიზმი, რომელსაც გრიგოლ ონიანი ასე აქტიურად იცავს და აქებს, თანამედროვე დასავლური პოლიტიკური კატეგორიების სისტემაში მარტივად ვერ თავსდება. სწორედ ასეთი წინააღმდეგობის წინაშე დგას ამ უაღრესად საინტერესო და პოპულარული ჭარმაგი კაცის, გრიგოლ ონიანის ფილოსოფიურ-პოლიტიკური შეხედულებები.

სტალინიზმს, ალბათ, ძალიან მარტივად ვერ მივუდგებით და არც უნდა მივუდგეთ. როგორც ჩანს, ის მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის იდეოლოგია აღარ არის, რომელიც შეიძლება პრიმიტიულად და ერთმნიშვნელოვნად შეიძლება შეფასდეს დღევანდელ რთულ ეპოქაში, როცა თითქმის ყველაფერი ეჭვისა და დავის საგანია. სტალინიზმი პოსტსაბჭოთა ქართულ ნაციონალიზმსა და ტრადიციონალისტურ პოლიტიკას შეერწყა, და სწორედ ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას, რომლის მიღებაც ახალგაზრდა თაობას უჭირს.

**ამ თემაზე მსჯელობა, შეიძლება, უსასრულოდ გაგრძელდეს და არ არსებობს გენიოსი, რომელიც ამ საკითხს ერთ დღეში გადაწყვეტს, თუმცა, კარგია, რომ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში და ისეთ ეპოქაში, სადაც მკვლევარს, იქნება ის ახალგაზრდა თუ ხანდაზმული, აქვს საკმარისი თავისუფლება, წამოჭრას ასეთი მასშტაბისა და მნიშვნელობის საკითხები და საკუთარი მოსაზრება თავისუფლად გამოხატოს, იმის შიშის გარეშე, რომ სიტყვას შეაწყვეტინებენ ან მის შეხედულებებს ძალით ჩაახშობენ.**

**ნუგზარ ბ. რუხაძე**

---

## გაეროს უშიშროების საბჭოს მოქმედი და მომავალი წევრი ქვეყნები მოუწოდებენ რუსეთს, დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან, უკან წაიღოს ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება.

**ღია გაეროს ქარტიის დარღვევით საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალების სასტიკი შეჭრა და განგრძობადი უკანონო სამხედრო ყოფნა, ასევე ეფექტიანი კონტროლის განხორციელება და ორი რეგიონის ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის რუსეთსა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს შორის 2026 წლის 9 მაისს გაფორმებული ე.წ. მოკავშირეობის თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ შეთანხმება.**

ქვეყნები მიესალმნენ ნაურუს რესპუბლიკის გადაწყვეტილებას, □აფხაზეთის რესპუბლიკისა□და □სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის□დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების უკან გაწვევისა და მათთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შესახებ. ამასთან, მოუწოდეს იმ სახელმწიფოებს, რომელთაც აღიარებული აქვთ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობა, მიბაძონ ნაურუს და პატივი სცენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ქვეყნების წარმომადგენლებმა განცხადებაში დაგმეს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განგრძობითი პროვოკაციები, მილიტარიზაცია, უკანონო საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო მიმოსვლის დაწყება და ადგილზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დარღვევები.

ასევე, გაიხსენეს საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომელთაც არაერთხელ დაადასტურეს რუსეთის ფედერაციის, როგორც ადგილზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებლის პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებზე, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობებზე, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებზე და სხვა.

დოკუმენტში ღრმა შეშფოთებით აღნიშნულია ის ფაქტი, რომ რუსეთმა არ შეასრულა ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, გაეყვანა თავისი ძალები საომარი მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზებზე და უზრუნველეყო ადამიანის უფლებების საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების, როგორიცაა ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, შეუფერხებელი დაშვება.

ერთობლივ განცხადებაში ასევე ხაზგასმულია იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების უფლებების დაცვის აუცილებლობა და მათთვის უსაფრთხო, ღირსეული და შეუფერხებელი დაბრუნების პირობების შექმნის მნიშვნელობა.

განცხადების თანახმად, ქვეყნები რჩებიან ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების (ძlღ) ერთგულნი და მხარს უჭერენ ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეხვედრების გაგრძელებას, ხოლო გალის შეხვედრების დაუყოვნებლივ განახლების მოწოდებით გამოდიან.

**განცხადების მონაწილეები კიდევ ერთხელ მოუწოდებენ რუსეთს, სრულად შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები და დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან. ისინი ასევე მოუწოდებენ რუსეთს, უკან წაიღოს საქართველოს ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება, არ შეუშალოს ხელი ადგილზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნას და დაუშვას ორივე რეგიონში საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველი და ჰუმანიტარული ორგანიზაციები.**

**დასასრულ, ქვეყნები ხაზს უსვამენ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საჭიროებას საერთაშორისო სამართლის, მათ შორის გაერო-ს ქარტიისა და ჰელსინკის დასკვნითი აქტის საფუძველზე□**

საქართველოს ხელისუფლების მიერ 2017 წლის 27 ოქტომბერს „აფხაზური ენის დაცვის და განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ" გაკეთებული განცხადების შემდეგ არ დამიტოვებია თითქმის არცერთი სახელმწიფო სტრუქტურა (საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი), მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკი, ვისთვისაც არ გამეგზავნა ამავე შინაარსის წერილი. მხოლოდ მაშინდელი (2021 წ.), სახელმწიფო მინისტრის, ქალბატონ ქეთევან ციხელაშვილის აპარატიდან დამიკავშირდნენ და ამ წინადადებისთვის მადლობა გადმომცეს.

უფრო კონკრეტულად გეტყვით, რომ ღია წერილით მივმართე ყოფილ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც ყოველგვარი რეაგირების გარეშე დამტოვა!

ჩემი აზრით, ეს იყო პრემიერ-მინისტრის არასახელმწიფოებრივად აზროვნების კლასიკური ნიმუში.

ბოლო 35 წელია, სრულიად საქართველო, მთელი ერი და ბერი, ძალისხმევას არ იშურებს ქართველებსა და აფხაზებს შორის კეთილგანწყობის აღსადგენად.

ამის გათვალისწინებით, სასურველად მიმაჩნია ქვემოთ გაცხადებულ პროგრამაში ერთ-ერთ საკითხად შევიდეს საქართველოს ეროვნული ვალუტის კუპიურებზე (მათი განახლების კვალობაზე) ნომინალის აღმნიშვნელ ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერებთან ერთად აფხაზური წარწერის დატანა.

ყოველივე ამას განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმის გამო, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად აფხაზურ ენას, ქართული ენის მსგავსად საქართველოში სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს. ამასთან ერთად, აფხაზ ხალხს საქართველოში სახელმწიფო წარმონაქმნი გააჩნია და თავიანთ სახელმწიფო ენაზე – აფხაზურად უნდა შეეძლოთ ფულის ნიშანზე გამოსახული ნომინალის წაკითხვა. საკმაოდ ახლო წარსულში, ფაქტობრივად უნიტარულ სახელმწიფოში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ფულის კუპიურაზე თხუთმეტივე რესპუბლიკის ენაზე იყო განთავსებული სათანადო წარწერა.

# ჩვენ აფხაზეთი კი არა, აფხაზები უნდა დავიბრუნოთ!

**ეროვნული ვალუტის კუპიურებზე აფხაზური წარწერაც უნდა ამშვენებდეს!**




## ღია წერილი

### საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი კობახიძეს!
### საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ქალბატონ ნათია თურნავას!

**სტატია ეძღვნება აფხაზეთის ცენტრალური ბანკის პირველი თავმჯდომარის, დიდი პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, სვეტლანა ბაგრატის ასული შამბას ნათელ ხსოვნას.**

**ჯერ კიდევ განახლებული 10-ლარიანი კუპიურის დაბეჭდვამდე მივმართე საქართველოს ეროვნული ბანკის მაშინდელ ხელმძღვანელობას, პირველად ამ ბანკნოტზე, აკაკი წერეთლის პორტრეტით რომ არის დამშვენებული – აფხაზური წარწერის დატანის შესახებ, რაც დიდი სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იქნებოდა, □გამზრდელის□ავტორის მიმართ აფხაზი ხალხის განსაკუთრებული დამოკიდებულების გათვალისწინებით, თუმცა...**

გარდა ამისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია 25-ლარიანი ბანკნოტის (უკიდურეს შემთხვევაში, საკოლექციო 25-ლარიანის) გამოშვება-დაბეჭდვა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ მესამის (საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილის) და მისი დედის, აფხაზთა მეფის გიორგი მეორის ასულის დედოფალ გურანდუხტის პორტრეტით და აფხაზეთის სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებით (მაგ: ბედიის მონასტერი, სადაც დაკრძალულნი არიან მეფე ბაგრატ მესამე და დედოფალი გურანდუხტი.

შეიძლება გვითხრან, ასეთი ნომინალის ლარის კუპიურის დაბეჭდვა არ არის გათვალისწინებულიო და ამ წინადადებას გარკვეული წინააღმდეგობებიც შეხვდეს, თუმცა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, სახელმწიფო ინტერესებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ამ ნომინალის კუპიურა საკმაოდ მოთხოვნადი იყო ახლო წარსულში და მისი გამოშვება არ იქნება ურიგო.

ჩვენი აზრით, ამ წინადადების რეალობად ქცევა, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს ქართველთა და აფხაზთა შორის ნდობისა და □დამწვარი ხიდების□აღდგენას.

**იმასაც მოგახსენებთ, რომ ამავე შინაარსის წერილით მივმართეთ აწ განსვენებულ საქართველოს პატრიარქ ილია მეორეს და მისგან მივიღეთ ლოცვა-კურთხევა ამ იდეის განხორციელებაზე.**

**ასევე, ილია მეორეს ვთხოვეთ, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდს განეხილა დედოფალ გურანდუხტის წმინდანად შერაცხვის საკითხი. ამ წინადადებას რელიგიურთან ერთად პოლიტიკური მდგენელიც გააჩნია. დედოფალ გურანდუხტის წმინდანად შერაცხვის შემთხვევაში, ის იქნება აფხაზი ეროვნების პირველი და ერთადერთი წმინდანი ჩვენში. როგორც ცნობილია, მეფე ბაგრატ მესამის ძე, მამა ბასილიც (დედოფალ გურანდუხტის შვილიშვილი) საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხილი. (ამავე შინაარსის წერილი გადავეცით მაშინ ჯერ კიდევ, საქართველოს პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიოს, რომელიც დღეს ილია მეორის რჩეული და ჩვენი ახალი პატრიარქი გრძანდება).**

ამავე შინაარსის რუსული ტექსტი არალეგალურად გავუგზავნე აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მაღალჩინოსანს (მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ვინაობას ვერ ვასახელებ). წერილი აფხაზეთიდან დევნილი ქართველების უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ლორენცო შარანგიას თანდასწრებით გადავეცი სოხუმიდან სამკურნალოდ ჩამოსულ აფხაზს (მას თბილისში წარმატებით ჩაუტარდა გულზე ოპერაცია). გარკვეული პერიოდის შემდეგ მოსკოვიდან აფხაზები დაუკავშირდნენ ბატონ ლორენცოს (ის დღემდე ინარჩუნებს აფხაზებთან კავშირებს და მეგობრულ ურთიერთობას) და გადასცეს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პოზიცია ამ საკითხზე: ძალიან მოგვეწონა ინიციატივა, გადაეცით ვასო ჯიშკარიანს, ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ საკითხის ცხოვრებაში განხორციელებას და მან ბოლომდე მიიყვანოს ეს საქმეო.

ამასწინათ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ პატარა კუნძულოვანმა სახელმწიფომ ნაურუმ უკან წაიღო აფხაზეთის აღიარება და დიპლომატიური ურთიერთობა გააუქმა აფხაზეთთან. იმედია, ასევე მოიქცევიან სირია, ვენესუელა და ნიკარაგუა...

ამჟამად შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, დადგა დრო, აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტას მეტი დინამიზმი შევძინოთ და გავითვალისწინოთ ჩვენი ბრძენი პატრიარქის, აწ განსვენებული ილია მეორის მიერ ერთ-ერთი ქადაგების დროს წარმოთქმული რჩევა.

**კერძოდ, უწმინდესმა ბრძანა: გუგული, „გარდა იმისა, რომ სხვის ბუდეში დებს კვერცხებს, სხვის ბუდესაც ეპატრონება. თუმცა ფრინველები მას არ ეცილებიან და ბუდეს არართმევენ. სჯობს, ჩვენც ასევე მოვიქცეთ აფხაზების მიმართ.**

საქართველოს მთავრობასა და პარლამენტში მაღალ თანამდებობებზე, ჩემზე გაცილებით კომპეტენტური პირები, პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები არიან. ასევე, აფხაზეთის მთავრობის მაღალ თანამდებობებზე (პრემიერი, ვიცე-პრემიერი) მოვიდნენ განათლებული და საქმიანი ახალგაზრდები, რომელთა მამებთანაც აფხაზეთში ყოფნის დროს მქონდა საქმიანი შეხვედრები. მე დარწმუნებული ვარ, შექმნილ სიტუაციას ისინი სწორად შეაფასებენ და მიიღებენ სამთავრობო და საპარლამენტო გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართველთა და აფხაზთა შერიგების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თანმიმდევრულ აღორძინებას დასჭირდება დიდი თანხების მობილიზება, რომ საქართველოში არსებულ ცხოვრების დონემდე მაინც ამაღლდეს აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის დონე. ვფიქრობ, ამისთვის საჭიროა შეიქმნას, პირობითად, ასეთი დასახელების – **□აფხაზეთის დაბრუნების ფონდი□**, რომლის ყველაზე დიდი კონტრიბუტორი უნდა გახდეს სახელმწიფო;

ფონდს შეავსებს აგრეთვე იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ნებაყოფილებით შეტანილი თანხები, რომელთათვისაც (რბილად, რომ ვთქვათ) სულერთი არ არის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;

უნდა მოვიძიოთ უცხოური დონორი ორგანიზაციები და სხვადასხვა ფონდები. პირველ რიგში, უცხოეთში არსებულმა ჩვენმა საელჩოებმა უნდა იზრუნონ თანხების მოზიდვაზე. აგრეთვე, თანხების მოსაზიდად უნდა შეიქმნას სპეციალური კომპეტენტური სპეციალისტების ჯგუფი, რომელთაც უცხოურ ფონდებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ.

მობილიზებული თანხების მიზნობრივი დაბანდება დააჩქარებს და ხელს შეუწყობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ერთ-ერთ ასეთ კანდიდატურად მიმაჩნია საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი **თამარ ხულორდავა.** მახსოვს მისი თავდაუზოგავი მუშაობა ევროსტრუქტურებში და დარწმუნებული ვარ ის რა საქმესაც შეეჭიდება, ყველაფერს სამაგალითოდ შეასრულებს.

ღრმა პატივისცემით,

**ვასილ ჯიშკარიანი,**

სს □საქართველოს ბანკის□ აფხაზეთის ფილიალის და ცენტრალური ფილიალის ყოფილი მმართველი

# მეცნიერის თვალსაწიერი



# ფესვებს მივხედოთ, ძმობის ფესვებს, აფხაზებო და ოსებო!

**ისტორიის გადასახედიდან არც ისე დიდი ხნის წინათ, 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ახალი ცხოვრების დაწყება მეტად რთული გამოდგა. ბევრი შეცდომაც დავუშვით, განსაკუთრებით ეროვნული ურთიერთობების სფეროში, რომელიც ადამიანთა ცხოვრების მეტად ფაქიზი სფეროა. იმის მაგივრად, რომ მთავარი ყურადღება ამ ურთიერთობების, მათი მოგვარებისთვის დაგვეთმო, ხმამაღლა გვეთქვა, რომ ქართველებთან ერთად აფხაზებმა, ოსებმა, აქ მცხოვრებმა ყველა ხალხის წარმომადგენელმა ერთად უნდა ავაშენოთ დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო, რომ ამ სახელმწიფოში ისევე ვიზრუნებთ მათზე, როგორც ქართველებზე, მოუზომავ სიტყვებს ფართო გასაქანი მივეცით, შემთხვევითმა ადამიანებმა დაიკავეს ტრიბუნა და ემოციების შეჯიბრი გავმართეთ, ასეთმა წინდაუხედაობამ გაამწვავა, უაღრესად დაძაბა ურთიერთობები ჩვენთან მცხოვრებ ხალხებს შორის.**

**მშვიდობა დღეს ჰაერივით გვჭირდება, მშვიდობა კი, დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს თქმით, შეიძლება დამთავრდეს ხალხებს შორის ძმობის ზეიმით. ამ წერილის მიზანია სწორედ ჩვენი ხალხების ძმობის, მეგობრობის განმტკიცება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მშვიდობის დამკვიდრება.**

**ჩვენ გვაწუხებს კავკასიის ბედი და გვმართებს ვიფიქროთ მშვიდობაზე. მსოფლიოს დღეს მშვიდობიანი კავკასია სჭირდება, თუმცა აფეთქებული კავკასიაც ძალიან ბევრს სურს თავისი მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად. აფეთქებული კავკასია იქნება ცივილიზაციის დანაშაული კაცობრიობის წინაშე.**

საქართველო და მთლიანად კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო დიდი სახელმწიფოების ინტერესებშია მოქცეული. ჩვენი სიბრძნე ისაა, რომ მათ ფეხქვეშ არ უნდა გავეგოთ. გლობალურ სამყაროში მთავარია გავიცნობიეროთ საკუთარი პრობლემები და მოვნახოთ მათი გადაწყვეტის გზები ადეკვატური საშუალებებით. ესე იგი, მუდმივად ცვალებად და მობილურ საზოგადოებაში უნდა შევძლოთ ჩვენი საკუთარი თავის პოვნა, საკუთარი ინტერესების დაცვა. გლობალიზაციის პროცესი მეტად მკაცრი კანონებით იმართება. მისთვის უცხოა შეღავათები და დათმობები. ასეთ პირობებში, როდესაც უკვე დაიდგა საბჭოთა კავშირის „დანგრევის პიესა“ და ჩვენი პრობლემები პოსტსაბჭოთა სივრცეში უკვე აღარავის აინტერესებს, არ შეგვიძლია რაიმე გავლენა მოვახდინოთ გლობალურ პროცესებზე. ჩვენ გლობალიზაციის პროცესში საკუთარი ადგილის დამკვიდრება უნდა შევძლოთ. ასეთ პირობებში ქართველებს, აფხაზებს, ოსებს უნდა გვეყოს იმდენი სიბრძნე, რომ შევკავშირდეთ, აღვადგინოთ ჩვენი ძმობა და მეგობრობა და ვიპოვოთ გლობალურ სამყაროში ჩვენი ადგილი და ამით მოვხსნათ ის საშიშროება, რაც ჩვენ ყველას გვემუქრება.

მე, როგორც მეცნიერს, გამოცდილ დემოგრაფს, კარგად მაქვს შესწავლილი ქართველთა, აფხაზთა და ოსთა მრავალმხრივი ურთიერთობები, უკანასკნელ წლებში ჩვენს შორის არსებული უმწვავესი დეტალებიც კი, მაგრამ დადგა დრო, ახლა მაინც ვიფიქროთ კარგზეც. ჩემთვის კარგადაა ცნობილი ისიც, რომ ერთად თანაცხოვრების პერიოდში ჩვენს შორის იყო ცალკეული გაუგებრობები, მაგრამ საბოლოოდ ძმობას, მეგობრობასა და მოყვრობას ყველაფერი გადაუწონია. ვიცი, ბევრი წერს ჩვენს სასარგებლოდ და ბევრიც – აფხაზებისა და ოსების სასარგებლოდ, მაგრამ ეს ძაბავს ურთიერთობებს ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის. მთავარია ითქვას სიმართლე, მთავარი მაინც სიმართლის ქმნაა, ან როგორც რუსთველი იტყოდა: „ქმნა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებლობაზე ხომ ძველი ქართული სიბრძნეც ქადაგებს: **„სწორად სჯიდი, მტერთა და მოყვარეთა სჯიდე რაი“.**

**რუსეთ-უკრაინის დაუმთავრებელი ომის ფონზე დადგა ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების დიდი შერიგების დრო. მე ძალიან ბევრ აფხაზ და ოს სეპარატისტ მეცნიერს შემიძლია ველაპარაკო, იმ ქართველებს, რომლებიც არ არიან მართალნი აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობაში, მაგრამ ეს არ არის გზავნილის მთავარი მიზანი. ამ წერილის მიზანია, წინა პლანზე წამოვწიოთ ის სიმშვენიერე, ის სულიერი სიახლოვე, ის სისხლით ნათესაობა, ის ამაღლებული გრძნობები, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს თანაცხოვრებაში და ჩვენი მომავალი ცხოვრებისათვის, ჩვენი წინაპრების პატივისაცემად ვალდებული ვართ ყოველივე ეს სამარადისოდ გავაგრძელოთ.**

## ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების თანაცხოვრების ისტორიიდან

სამწუხაროდ, დიდ პოლიტიკას, ჯერ კიდევ მკაცრი მსოფლიო წესრიგის არარსებობის პირობებში, შედარებით ადვილად შეუძლია თავისი ინტერესების გატარება სხვათა ინტერესების ხარჯზე. დიდი ფინანსური რესურსების შემუშავების, ძლიერი სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობა მას ყოველთვის ანიჭებს ასეთ უპირატესობას. დიდ პოლიტიკას ყოველთვის შეუძლია სეპარატისტულად განწყობილი, ზერელედ მოაზროვნე, განდიდების მანიით შეპყრობილი და, რაც მთავარია „მსუქანი ჯამაგირის“ მოყვარული ადამიანები მონახოს და მათ დაეყრდნოს. ამიტომ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ როდესაც მეტი გამოსავალი არ არსებობს, დიდ პოლიტიკურ ძალებს ანგარიში უნდა გავუწიოთ და არა ცალმხრივად.

ლიტონი სიტყვები არ არის ის, რომ ჩვენ – ქართველები, აფხაზები და ოსები ნიჭიერი ხალხი ვართ, დიდი წარსული გვაქვს, ვიცით გმირული წარსულის პატივისცემა, გვაქვს ბუნებით მომადლებული ძმობის, მეგობრობის, სიყვარულის ნიჭი და შევძლებთ გადავლახოთ ჩვენს შორის არსებული წინააღმდეგობა, რომელიც მარტოოდენ ჩვენზეც არ არის დამოკიდებული.

ამ რწმენით ვამთავრებ ჩემი ვრცელი წერილის წინასიტყვაობას და მჯერა, ჩვენი ხალხების დიდი კულტურის ძალა ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის დადგენას შეგვაძლებინებს, მით უმეტეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ **„ფასეულია მხოლოდ ერთი რამ: ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისათვის სამსახური“ (მარკუს ავრელიუსი).**

* * *

**ქართველი და ოსი ხალხების მჭიდრო ურთიერთობას შორეულ წარსულში აქვს ფესვი გადგმული. სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები ამ ხალხთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ოსები სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებით, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით შედარებით მაღალ საფეხურზე იდგა.**

ამავე დროს, როგორც მე-20 საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდნენ, **„ჩრდილოეთ კავკასიის მრავალრიცხოვან ტომთა შორის ოსები ყველაზე კულტურული და ყველაზე ნიჭიერი ხალხია, რომელიც განათლებისაკენ მიისწრაფვის. დღეს ოსეთში უკვე წარმოიშვა სერიოზული ინტელიგენცია... ეს ინტელიგენცია ზრუნავს ნაციონალურ საწყისებზე ცოდნით და პროგრესით თავისი ერის დაწინაურებისათვის“...**

ისტორიულად დიდი იყო ქართული კულტურის გავლენა ოსების სულიერ ცხოვრებაზე, მის ყოფაზე, მაგრამ ეს გავლენა ცალმხრივი არასოდეს ყოფილა. მათ შორის მრავალმხრივი ურთიერთობები არსებობდა და, ბუნებრივია, იგი გამოხატულებას პოულობდა ერთმანეთისგან უფრო პროგრესულის ათვისებასა და გათავისებაში. აქ მხოლოდ გავლენის მეტ-ნაკლებობაზე შეიძლება საუბარი, სადაც პრიორიტეტი ქართულ კულტურას ეკუთვნოდა. ყოველივე ეს საბოლოოდ ქართველი და ოსი ხალხების ეკონომიკური გაძლიერებისა და კულტურული განვითარების, მეზობლობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა, რაც კიდევ უფრო აახლოებდა ქართველ და ოს ხალხებს. ამასთან, როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. **მიხეილ ჩიქოვანი,** კავკასიის მცირე ტერიტორიაზე „მოსახლეობის მონაცვლეობა, მჭიდროდ დასახლება, სამხედრო და კულტურულ-ეკონომიკური კავშირი საუკუნეთა მანძილზე კავკასიელ ხალხებს ერთმანეთთან აახლოებდათ და საერთო სახეს აძლევდათ. ამიტომ ზოგჯერ დღემდე დადგენილი არაა, თუ რომელ კავკასიურ ერსა და ტომს მიეკუთვნება წარმოშობით ესა თუ ის ჩვეულება, რწმენა, მითოლოგია და ზეპირსიტყვიერების ნიმუში“. ერთმანეთთან დაახლოებას, ადათ-წესების მსგავსებას, მნიშვნელოვნად განაპირობებდა აგრეთვე ერთმანეთის მსგავსი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ისტორიის ცალკეულ პერიოდებში კავკასიის ხალხების ძირითადად ერთიანი რელიგიური აღმსარებლობა. საგულისხმოა ისიც, რომ კავკასიის ხალხებს უმეტესად საერთო მტრების წინააღმდეგ უხდებოდათ ბრძოლა. ასე, რომ მათი ყოფა-ცხოვრების მსგავსება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. რა თქმა უნდა, კავკასიის ხალხების თანაცხოვრება არ ყოფილა ყოველთვის სწორხაზოვანი და მათ შორის ადგილი ჰქონდა ცალკეულ გაუგებრობებსა და დაპირისპირებებს, მაგრამ ეს უფრო ფეოდალური ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი შეხედულებების შედეგი გახლდათ, ეროვნულ ნიადაგზე დაპირისპირება და კონფლიქტი იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა და შეიძლება ითქვას მე-20 საუკუნემდე ფაქტობრივად მას ადგილი არც ჰქონდა.

კავკასიის ხალხებს შორის ქართველებს ოსებთან უძველესი დროიდან გამორჩეულად მყარი და მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა აკამდემიკოს **გიორგი ახვლედიანის** აზრი: **„ოსურ-ქართული ენების კავშირის სირთულე, სახელდობრ, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გვაქვს ხანგრძლივი ორმხრივი გავლენა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი გავლენის ფარგლებს. მე ვფიქრობ ქართულ (ქართველთ) და ოსურ (ალანურ) ენათა ურთიერთობას უფრო მეტად შეიძლება ვუწოდოთ ურთიერთშეჭრა, რომელიც ორენიანობას ესაზღვრება, ვიდრე ურთიერთგავლენა“.**

მოტანილ ციტატაში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ აკადემიკოსი საუბრობს ქართულ და ოსურ ენათა ურთიეთშეჭრაზე და არა ჩვეულებრივ გავლენაზე, რაც ქართველი და ოსი ხალხების ხანგრძლივ და მჭიდრო ურთიერთკავშირზე მიუთითებს. ამიტომ არის, რომ **დღეს ყოველი ჭეშმარიტი ქართველი და ჭეშმარიტი ოსი მძიმედ განიცდის ჩვენი ხალხების დაპირისპირებას, რომელიც თავმოხვეულ, უაზრო სისხლისმღვრელ შეტაკებებსა და ომში გადაიზარდა. უნდა შევძლოთ ძმობის, სიყვარულის, ნათესაობის, მეგობრობის ტაძარს, რომელსაც საუკუნეობით ვაშენებდით ქართველი და ოსი ხალხები, გავუმაგროთ მორყეული საძირკველი. ხალხს ომი და უბედურება არასოდეს არ უნდა, არ ჭირდება, ხალხი მხოლოდ აშენებს. ამაშია მისი ბედნიერება და სულიერი კმაყოფილება, ცხოვრების აზრიც.**



**ანზორ თოთაძე,**
პროფესორი.

(გაგრძელება იქნება)

# გამორჩეული მეცნიერი და ღვაწლმოსილი მკვლევარი



## აკადემიკოს რევაზ მახარობლიძეს 90 წელი შეუსრულდა

**საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის დარგში გამორჩეულ მეცნიერსა და ღვაწლმოსილ მკვლევარს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ამავე აკადემიის პრეზიდიუმის წევრს, აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანსა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულების კოორდინატორს, აკადემიკოს რევაზ მახარობლიძეს 22 აგვისტოს დაბადებიდან – 90, ხოლო ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წელი შეუსრულდა.**

**რევაზ მახარობლიძე** დაიბადა 1936 წლის 22 აგვისტოს ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანაში. 1954 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა, ხოლო 1959 წელს – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტი ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით. 1961-1964 წლებში სწავლობდა საბჭოთა კავშირის არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ქ. მინსკი). სწავლის დასრულების შემდეგ, 1966 წელს, ლიტვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში (ქ. კაუნასი) დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1982 წელს – სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1990 წელს რევაზ მახარობლიძე არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1992 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

ბატონი რევაზი სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში ასისტენტად (1959-1961), კათედრის გამგედ (1967-1974); საბჭოთა კავშირის არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში – უფროს მეცნიერ მუშაკად (1974-1976); საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში – განყოფილების გამგედ (1976-1981) და ინსტიტუტის დირექტორად (2000-2006); საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ამჟამად – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი) – კათედრის გამგედ (1982-2006), ხოლო 2007 წლიდან – სრულ პროფესორად.

რევაზ მახარობლიძის სამეცნიერო კვლევები ძირითადად მიმართულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების დინამიკის, საიმედოობისა და პარამეტრების ოპტიმიზაციის პრობლემების გადაწყვეტისაკენ. მის ნაშრომებში ფართოდ არის გამოყენებული და განვითარებული, სასოფლო-სამეურნეო მანქანების სპეციფიკის გათვალისწინებით, რეოლოგიის, მექანიზმებისა და მანქანების თეორიის, წრფივი და არაწრფივი რხევების, ოპტიმალური პროცესებისა და სხვა თანამედროვე მეთოდები.

აღნიშნული კვლევების საფუძველზე მან შეიმუშავა სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის მექანიზაციის ოპტიმალური პარამეტრების ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. მისი სამეცნიერო ნაშრომები და თეორიული დებულებები ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო და სასწავლო დაწესებულებებში ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შექმნისა და არსებული კონსტრუქციების სრულყოფის, აგრეთვე საინჟინრო და სამეცნიერო კადრების მომზადების პროცესში.

**აღსანიშნავია, რომ ბატონი რევაზ მახარობლიძე წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო საქმიანობას პედაგოგიურ, ორგანიზატორულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი მუშაობდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების პროგრესული მეთოდების დანერგვაზე და ნაყოფიერად მოღვაწეობდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიმართულებით. მისი ხელმძღვანელობით 44-მა ახალგაზრდა მეცნიერმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, მათგან ცხრამ კი მოგვიანებით სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა.**

რ. მახარობლიძე იყო საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან არსებული სადოქტორო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის რამდენიმე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. იგი ასევე ხელმძღვანელობდა აგრარული უნივერსიტეტისა და საქართველოს აგროსამრეწველო გაერთიანების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რიგ სამეცნიერო მიმართულებებს.

**აკადემიკოს რევაზ მახარობლიძეს სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნებული აქვს 430 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 24 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო და 6 რეკომენდაცია. იგი 71 გამოგონების ავტორია.**

აკადემიკოს რ. მახარობლიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, სიმპოზიუმში, ყრილობასა და კონგრესში, სადაც მისი მოხსენებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა.

მრავალწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე არაერთი მაღალი ჯილდოსა და აღიარების მფლობელია. იგი საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატია (1994); დაჯილდოებულია □საბჭოთა კავშირის გამომგონებლის□სამკერდე ნიშნით, □ღირსების ორდენით□ (1999), 2006 წლის საუკეთესო მეცნიერის ვერცხლის მედლით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით, იუნესკოს საპატიო სიგელით სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის (2022), აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დიპლომით ნაშრომისათვის □მცირე მექანიზაციის ხელის მანქანების დინამიკა და ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების საფუძვლები□(2023).

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს ბატონ რევაზ მახარობლიძეს დაბადებიდან 90 წლის საიუბილეო თარიღს და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, კეთილდღეობას და კვლავაც ნაყოფიერ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# განათლების სამინისტროს განცხადება ჰარვარდის დევისის ცენტრის საქართველოს შემსწავლელ პროგრამასთან დაკავშირებით

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, პროგრამის ახალი ეტაპის გაგრძელება ვერ შეთანხმდა, რადგან მის დასაწყებად სამინისტროსთვის არ ყოფილა წარმოდგენილი შეთანხმებული პროგრამა, რომელიც განსაზღვრავდა კონკრეტულ აქტივობებს, ბიუჯეტს, განხორციელების ვადებსა და გაზომვად შედეგებს.

**□გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ სრული და ზუსტი ინფორმაცია ჰარვარდის დევისის ცენტრის საქართველოს შემსწავლელი პროგრამის შესახებ. მიმდინარე წელს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის გაგრძელების მზადყოფნა გამოხატა და ამისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი დაფინანსებაც გამოყო. პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში სამინისტრომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა რამდენჯერმე გააგრძელა, მათ შორის 2026 წლის 31 მარტამდე, რათა პროგრამას დარჩენილი აქტივობების დასრულებისა და შესაბამისი ანგარიშგების წარმოდგენის შესაძლებლობა ჰქონოდა.**



**სამინისტრომ ჰარვარდს ასევე სთხოვა შესრულებული სამუშაოების ანგარიში და პროგრამის შემდგომი განვითარების კონკრეტული ხედვა. თუმცა პროგრამის შემდგომი გაგრძელება ვერ შეთანხმდა, რადგან პროგრამის ახალი ეტაპის დასაწყებად სამინისტროსთვის არ ყოფილა წარმოდგენილი შეთანხმებული პროგრამა, რომელიც განსაზღვრავდა კონკრეტულ აქტივობებს, ბიუჯეტს, განხორციელების ვადებსა და გაზომვად შედეგებს. შესაბამისად, ახალი ეტაპის დამტკიცების საფუძველი არ არსებობდა□,** □აღნიშნულია განცხადებაში.

**ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება პროგრამის გაგრძელებასთან დაკავშირებით ჰარვარდთან აკადემიურ თანამშრომლობაზე უარს არ ნიშნავს. გადაწყვეტილება ეფუძნებოდა სახელმწიფო რესურსის ეფექტიან და ანგარიშვალდებულ მართვას და ახალი ეტაპის დასაწყებად აუცილებელი პროგრამული და ფინანსური ჩარჩოს არსებობას. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო კვლავ მზად არის, განიხილოს ჰარვარდთან მომავალი თანამშრომლობა □მკაფიოდ განსაზღვრული მიზნების, შეთანხმებული ბიუჯეტის, განხორციელების ვადებისა და გაზომვადი შედეგების საფუძველზე. სამინისტროს პოზიცია უცვლელია: საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემას, გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და სახელმწიფო რესურსის ეფექტიან გამოყენებას□,** □ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# თითქოს გუშინ დაეწეროს...



გაგა შურღაია

**4 აგვისტოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ომარ შურღაიას წიგნის, „პოსტსაბჭოთა საქართველო: ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, ეკონომიკური ტრანსფორმაცია და თანამედროვე რეალიები“ პრეზენტაცია გაიმართა.**

ღონისძიება გახსნა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა კონსტანტინე გამსახურდიამ. პრეზენტაციას წარუძღვა ომარ შურღაიას შვილი, პროფესორი გაგა შურღაია (ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი – „ლ'ორიენტალე“).

აუდიტორიას სიტყვით მიმართეს: პროფესორებმა **ანზორ თოთაძემ, გივი თაქთაქიშვილმა, ვალერი ასათიანმა** და სხვებმა.

**„მადლობას ვუხდი ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას თანადგომისთვის. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის განყოფილების უფროსს ნანა ხვედელიანს გაწეული დახმარებისთვის.**

**ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ომარ შურღაიას წიგნის, „პოსტსაბჭოთა საქართველო: ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, ეკონომიკური ტრანსფორმაცია და თანამედროვე რეალიები“ (თბილისი, „უნივერსალი“, 2026, 717 გვ.) გამოსვლას, სიხარულთან ერთად, დიდი სევდა ახლავს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ომარ შურღაია დღეს ჩვენთან აღარ არის, არამედ იმიტომ, რომ სწორუპოვარი კომპეტენციით, სტატისტიკური მონაცემების სიღრმისეული ანალიზით გვისურათხატებს თანამედროვე საქართველოში არსებულ ვითარებას. წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე სამეცნიერო ჟურნალებსა თუ კრებულებში 1993-2020 წწ.-ში ეკონომიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკური ფსიქოლოგიის, სამართლის, ზნეობრივ მოძღვრებათა ისტორიისა და სხვა საკითხებზე გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც, ფაქტობრივად, ავტორის მიერ იმთავითვე მონოგრაფიულ გამოკვლევად ჩაფიქრებული წიგნის თავები იყო. ასე შექმნა ომარ შურღაიამ საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს დემონტაჟისა და ახალი, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის მცდელობის ერთგვარი უახლესი ისტორია.**

**წიგნი გამორჩეულია იმითაც, რომ მასში მოყვანილია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სიღარიბის სოციალურ-დემოგრაფიული შედეგებისა და მათი დაძლევის ძირითად მიმართულებათა შესახებ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა ჯგუფის მიერ 2003 წლის 15-30 ივნისს თბილისში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის დღეისათვის უკვე ხელმიუწვდომელი შედეგები. ყოველ თავს ერთვის ვრცელი რეზიუმეები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე,“** – განაცხადა **გაგა შურღაიამ.**




**აქვე მკითხველს ვთავაზობთ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას შთამბეჭდავ გამოსვლას ომარ შურღაიას წიგნის პრეზენტაციაზე.**

# კონსტანტინე გამსახურდია
# ომარ შურღაიას მოაზროვნე წიგნი



**მოხარული ვარ, რომ დღეს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა მასპინძლობს ან განსვენებული ომარ შურღაიას ახალი წიგნის პრეზენტაციას. ბიბლიოთეკისთვის ყოველი ახალი წიგნის წარდგენა განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან წიგნი მხოლოდ დაბეჭდილი ტექსტი არ არის – იგი ავტორის მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებული საუბარია.**

ზოგჯერ ეს საუბარი წარსულს ეხება, ზოგჯერ – აწმყოს, მაგრამ მნიშვნელოვანი წიგნი ყოველთვის მომავალზეც გვაფიქრებს. სწორედ ასეთ ნაშრომთან გვაქვს საქმე დღეს.

ომარ შურღაიას წიგნი მკითხველს ჩვენი ქვეყნისთვის ფუნდამენტურ საკითხებზე მსჯელობას სთავაზობს: რას ნიშნავს რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა? რამდენად შესაძლებელია პოლიტიკური სუვერენიტეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე? როგორ უნდა თანაარსებობდეს საბაზრო ეკონომიკა სოციალურ პასუხისმგებლობასთან? რა ადგილი უკავია ეროვნულ ინტერესს სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში? და, საბოლოოდ, ვისთვის არსებობს სახელმწიფო და ეკონომიკა, თუ არა ადამიანისთვის?

ავტორი გვახსენებს, რომ სუვერენიტეტი მხოლოდ კონსტიტუციით განმტკიცებული იურიდიული ცნება არ არის. იგი უნდა აისახოს ქვეყნის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, ეკონომიკურ შესაძლებლობებში, სოციალურ პოლიტიკასა და კულტურულ თვითმყოფადობაში.

დამოუკიდებლობა სრულყოფილი ვერ იქნება, თუ სახელმწიფო ვერ ქმნის საკუთარი მოქალაქეების ღირსეული ცხოვრების, შრომის, განათლებისა და განვითარების პირობებს. წიგნის ერთ-ერთი ცენტრალური იდეაა ისიც, რომ დემოკრატია არ ამოიწურება არჩევნებითა და ფორმალური ინსტიტუტების არსებობით. დემოკრატია ნიშნავს ადამიანის ღირსების დაცვას, საზოგადოების მონაწილეობას, კანონის უზენაესობასა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მოქალაქეთა წინაშე.

დემოკრატიული მმართველობა უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, არამედ ადამიანების რეალურ კეთილდღეობას. ამ თვალსაზრისით, ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ეკონომიკური პოლიტიკის სოციალურ განზომილებაზე. წიგნში ეკონომიკური განვითარება წარმოდგენილია არა როგორც ცალკეული ციფრების ზრდა, არამედ როგორც პროცესი, რომლის შედეგიც თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში უნდა იგრძნობოდეს.

ეკონომიკური ზრდა მხოლოდ მაშინ იძენს ნამდვილ მნიშვნელობას, როდესაც იგი ამცირებს სიღარიბეს, ქმნის სამუშაო ადგილებს, აფართოებს განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას და ახალგაზრდებს საკუთარ ქვეყანაში მომავლის რწმენას აძლევს.

ნაშრომში კრიტიკულად არის გააზრებული საბაზრო ეკონომიკის უკიდურესად გამარტივებული გაგებაც. ავტორი კერძო საკუთრების მნიშვნელობას არ უარყოფს, თუმცა ხაზს უსვამს, რომ საკუთრების უფლება საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისგან მოწყვეტილი ვერ იქნება. ეკონომიკური თავისუფლება აუცილებელია, მაგრამ მას თან უნდა ახლდეს სამართლიანი წესები, შრომითი უფლებების დაცვა, კონკურენციის უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება.



ომარ შურღაია

ეს საკითხი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. თანამედროვე მსოფლიო გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ბაზარი თავისთავად ვერ აგვარებს ყველა სოციალურ პრობლემას. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი გარემო, სადაც თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობა და საზოგადოებრივი კეთილდღეობა ერთმანეთს კი არ უპირისპირდება, არამედ ავსებს. მდგრადი ეკონომიკა სწორედ თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის გონივრულ წონასწორობას ეფუძნება.

ომარ შურღაია ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე, ეროვნულ ქონებაზე, ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე. იგი სვამს რთულ, მაგრამ აუცილებელ კითხვებს: როგორ უნდა განვკარგავდეთ ეროვნულ სიმდიდრეს? რა საზღვრები უნდა ჰქონდეს პრივატიზებას? როგორ დავიცვათ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესი გლობალური ეკონომიკური პროცესების პირობებში? ავტორი მკაფიოდ მიგვანიშნებს, რომ ეროვნული რესურსი მხოლოდ დღევანდელი თაობის საკუთრება არ არის. იგი მომავალი თაობების მემკვიდრეობაცაა. ამიტომ ასეთი რესურსის გამოყენება უნდა ემყარებოდეს არა მოკლევადიან სარგებელს, არამედ გრძელვადიან ეროვნულ ხედვას.

ეკონომიკური გადაწყვეტილება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი მიწას, ბუნებრივ სიმდიდრესა თუ სტრატეგიულ ინფრასტრუქტურას ეხება, ერთდროულად ეკონომიკური, სოციალური და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებაა.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს უახლესი ისტორიისა და გარდამავალი პერიოდის გამოცდილების შეფასებასაც. ავტორი იხსენებს იმ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, რომლებიც ქვეყანამ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაიარა: წარმოების შემცირებას, უმუშევრობას, სიღარიბეს, მოსახლეობის მიგრაციასა და სოციალური დაუცველობის ზრდას. ეს თემები წარმოდგენილია არა მხოლოდ სტატისტიკის სახით, არამედ ადამიანთა კონკრეტულ ბედთან დაკავშირებულ მოვლენებად. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ციფრი მაშინ იძენს ნამდვილ შინაარსს, როდესაც მის უკან ადამიანს ვხედავთ. უმუშევრობა მხოლოდ პროცენტული მაჩვენებელი არ არის – ის ოჯახური სირთულე, დაკარგული შესაძლებლობა და ხშირად სამშობლოდან წასვლის იძულებაა. ეკონომიკური პოლიტიკის შეფასების მთავარი საზომიც ადამიანი უნდა იყოს: რამდენად უკეთ ცხოვრობს იგი, რამდენად დაცულია მისი შრომა და რამდენად შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. შესაძლოა, წიგნში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას ყველა მკითხველი სრულად არ დაეთანხმოს. თუმცა სწორედ ეს არის მოაზროვნე და პასუხისმგებლიანი წიგნის ერთ-ერთი მთავარი ღირსება – იგი გვაიძულებს, შევჩერდეთ, დავფიქრდეთ, ვიკამათოთ და საკუთარი პოზიცია არგუმენტებით ჩამოვაყალიბოთ.

საზოგადოებრივი განვითარება მხოლოდ თანხმობით არ მიიღწევა; მას სჭირდება განსხვავებული აზრების თავისუფალი, ღირსეული და საფუძვლიანი დიალოგიც. ამ თვალსაზრისით, ეროვნული ბიბლიოთეკა ყველაზე ბუნებრივი სივრცეა ასეთი წიგნის წარსადგენად. ბიბლიოთეკა არის ადგილი, სადაც სხვადასხვა ეპოქის გამოცდილება, განსხვავებული მსოფლმხედველობა და მრავალი ინტელექტუალური ტრადიცია ერთმანეთს ხვდება. ჩვენი პასუხისმგებლობაა აზროვნების სივრცის შექმნაც – ისეთი სივრცისა, სადაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარი ცოდნას, პასუხისმგებლობასა და ურთიერთპატივისცემას ემყარება. ამიტომ განსაკუთრებით გვიხარია იმ ნაშრომების მასპინძლობა, რომლებიც საზოგადოებას საქართველოს განვითარების გზებზე დაფიქრებას სთავაზობს.

მსურს, მადლიერებით მოვიხსენიო ბატონი ომარ შურღაიას მრავალწლიანი შრომა და ღვაწლი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ის გულწრფელი სურვილი, რომელიც ამ წიგნის ყოველ გვერდზე იგრძნობა – სურვილი, რომ საქართველო იყოს არა მხოლოდ ფორმალურად დამოუკიდებელი, არამედ ეკონომიკურად ძლიერი, სოციალურად სამართლიანი, კულტურულად თვითმყოფადი და საკუთარ მომავალზე პასუხისმგებელი სახელმწიფო.

მკითხველ საზოგადოებას და დღევანდელი პრეზენტაციის მონაწილეებს ვულოცავ ამ წიგნის გამოცემას. ვუსურვებ ნაშრომს ბევრ ყურადღებიან მკითხველს, პროფესიულ განხილვასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს. იმედი მაქვს, იგი მნიშვნელოვანი დისკუსიების საფუძველი გახდება და თავის წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის განვითარების გზებზე მიმდინარე საზოგადოებრივ მსჯელობაში. დიდი მადლობა მობრძანებისთვის.

**4 აგვისტო, 2026.**

№113-114. ორშაბათი, 24 აგვისტო, 2026 წელი



**წლეულს, 6 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ჩემი წერილი „ლიტერატურული რატიანიზმი თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში“. წერილში საუბარი იყო ბოლო დროს სახიფათოდ გაპოპულარებული (სხვათა შორის, როგორც ოპოზიციური პარტიების, ისე ხელისუფლების მხარდამჭერთა მიერ) ცნების, „ღალატისა“ და მისი რაობის შესახებ.**

**სამაგალითოდ მოყვანილი იყო გვერდი სოციალური ქსელებიდან „პოეზიარი – მხატვართა წარმოჩენა“. უკვე კარგა ხანია და იგი დღესაც ჯიუტად ცდილობს, ქვეყნის მოღალატედ წარმოადგინოს ყველა ის ქართველი მწერალი, ინტელიგენციის წარმომადგენელი, ვინც არ ებრძოდა კომუნისტურ რეჟიმს და, რაც მთავარია, არ იზიარებდა ზვიად გამსახურდიას იდეებს. ჯიუტად აქვეყნებს კარგა ხნის წინათ იმქვეყნად გადაბარგებული „მოღალატე მწერლების“ სიებს და „მამხილებელ“ ოპუსებს.**

**ლიტერატურული რატიანიზმი თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში**

# „...დაფიქრდი(თ), ტაეპში სიბრძნე დევს თემოსი“

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **ცნობილი და პოპულარული ქართველი ისტორიული პირების, მეფეების, საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, პოეტების, საერთოდ, ღირსეული მამულიშვილების თავზეხელაღებული ლანძღვა-გინება ერთადერთ ბინძურ მიზანს, ახალგაზრდების ტვინის გამორეცხვას ემსახურება; მათ დარწმუნებას, რომ არც ისტორიაში და არც თანამედროვეობაში ავტორიტეტების არსებობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; რომ დავით აღმაშენებელსა და მიშა სააკაშვილს, თამარ მეფესა და ელენე ხოშტარიას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს; ამიტომ არ წაიკითხოთ წიგნები, მიაფურთხეთ მეცნიერებას, დარჩით უვიცებად, ირბინეთ ქუჩებში, არ მოერიდოთ ბილწსიტყვაობას – პრესტიჟული ადგილები საზოგადოებაში და თანამდებობები სახელისუფლებო სტრუქტურებში თქვენთვის უამისოდაც გარანტირებულია.**

ჩემი ის წერილი მთავრდებოდა მსუბუქი ირონიული პასუხებით „პოეზიარის“ მიერ ასევე ირონიულად დასმულ რამდენიმე შეკითხვაზე.

„პოეზიარის“ რეალური მფლობელის ვინაობით მაშინ არ დავინტერესებულვარ, ახლა კი ვიცი, რომ ეს ყოფილა პოეტი და ახალგაზრდობის აღზრდაზე გადაგებული ბრძენკაცი თემურ (თემო) ჭახნაკია, დაბადებული 1992 წელს.

ამ ბრძენი მოღვაწის კატეგორიული მტკიცებით, სამშობლოს მოღალატეა უკლებლივ ყველა ქართველი მწერალი, ვინც იყო კომპარტიის წევრი და ემსახურებოდა კომუნისტურ საქართველოს. მეტიც, სამშობლოს მოღალატეა ყველა ქართველი მწერალი, ზოგადად, ქართული ინტელიგენციის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი, ვინც მხარს არ უჭერდა ზვიად გამსახურდიას და მის ხელისუფლებას.

ეს არის კომუნისტური იდეოლოგიის სრული გამეორება ერთადერთი განსხვავებით – „ზვიადი“ „კომუნისტურის“ ნაცვლად. მართალია, ზრდილობით და ოჯახიშვილობით გამორჩეული ბატონი ჭახნაკია ბრძანებს, „ვინ ჩემი შაშაკოლაა ეს თეიმურაზ ქორიძე, მისი ნაწერები არც წამიკითხავს და არც წავიკითხავო“, მაგრამ ვისაც წაუკითხავს და მომავალშიც წაიკითხავს, იმათ გასაგონად ცნება „ღალატის“ კლასიკურ განმარტებას კიდევ ერთხელ გავიმეორებ: „**გამცემლობა, ვერაგობა, დაგმობა, უარყოფა; ვინმეს ან რაიმეს საზიანოდ შეგნებულად ჩადენილი ბოროტება, ორგულობა, მეგობრის (ახლობლის) სხვაზე გაცვლა**“.

უფრო კონკრეტულად – მე რომ ვინმე



პერსონას, ან იდეას ვუღალატო, ამ პერსონის ან იდეის ერთგული თუ არა, მხარდამჭერი მაინც უნდა ვიყო. კიდევ უფრო რომ დავწვრილმანდეთ –

**მე, თეიმურაზ ქორიძე, სურვილის შემთხვევაშიც კი, ვერასოდეს ვერ ვუღალატებდი, ვთქვათ, ედუარდ შევარდნაძეს, ზვიად გამსახურდიას ან მიხეილ სააკაშვილს, რადგან არასოდეს ვყოფილვარ ამ პერსონების, მათი ხელისუფლებების ერთგული ან მხარდამჭერი. და კიდევ ერთი – ნებისმიერი პოლიტიკური ფიგურის, თუნდაც გელადის მწვავე კრიტიკა სულაც არ ნიშნავს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას – ღალატს. სამაგიეროდ, სამშობლოს ღალატის მძაფრი სუნი ასდის ზოგიერთი ქართველი „პოლიტიკოსის“ მოწოდებებს რუსეთისთვის ომის გამოცხადების, ოკუპირებული ტერიტორიების ოკუპანტისთვის ოფიციალურად მიკუთვნების, ან რუსეთთან მოლაპარაკებებზე უარის თქმის თაობაზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება ბატონ ჭახნაკიას.**

მის გასაგონად ვიტყვი (იქნებ ვინმემ ამბავი მიუტანოს!), რომ ბატონ ზვიად გამსახურდიასთან საკმაოდ თბილი ურთიერთობა მქონდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან, ჩრდილოეთ კავკასიაში მისი სიმბოლური გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ. ხელისუფლების სათავეში აღზევებისთანავე ერთი ჩვენი საერთო მეგობრის პირით საკმაოდ პრესტიჟული თანამდებობაც შემომთავაზა, რაზეც დიდი მადლობით და კატეგორიული უარით ვუპასუხე. თუ ბატონი ჭახნაკია დაინტერესდება, ასე რატომ მოვიქეცი, – აუცილებლად ავუხსნი.

**გვიყვარს თუ არა, მოგვწონს თუ არა, ზვიად გამსახურდია სამარადჟამოდ შევიდა ქვეყნის ისტორიაში, როგორც თავისუფალი საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ოღონდ, ეს ფაქტი არ არის მისი გაღმერთების საბაბი.**

საქართველოს ბევრი კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქე, მათ შორის მეც, წინააღმდეგი იყო მისი ხელისუფლების სათავეში მისვლისა და ამას ჰქონდა თავისი მიზეზები:

ზვიად გამსახურდიას, თავისი ალალი პატრიოტიზმისა და მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მიუხედავად, არ გააჩნდა მმართველობის არავითარი გამოცდილება;

იყო უაღრესად კეთილი, გულუბრყვილო და მიმნდობი ადამიანი. შესაბამისად, მის უახლოეს გარემოცვაში ყელყელაობდნენ ერთობ საეჭვო რეპუტაციის ადამიანები;

ცუდად ერკვეოდა ელემენტარულ ეკონომიკურ (ფინანსურ) პრობლემებში;

საკმაოდ ბუნდოვანი (შეიძლება ასეც ითქვას – ლიტერატურული) წარმოდგენა ჰქონდა, ზოგადად, იურისპრუდენციაზე;

ზვიად გამსახურდიას ყველა ნაბიჯს ფხიზლად აკონტროლებდნენ მისი მეუღლე მანანა არჩვაძე და ცოლისდა – რუსიკო არჩვაძე.

რა თქმა უნდა, იყო სხვა მიზეზებიც, რომელთა გამო, ქვეყნის და პირადად ზვიად გამსახურდიას ინტერესებიდან გამომდინარე, მისი უმაღლეს სახელისუფლებო თანამდებობაზე არჩევა არ შეიძლებოდა – ეს ნაბიჯი ტრაგედიად შემოუბრუნდებოდა ქვეყანას და პირადად ზვიად გამსახურდიას.

სამწუხაროდ, მოვლენები ზუსტად ასე განვითარდა.

იმის თქმა მინდოდა, რომ ზვიად გამსახურდიას პიროვნებისა და იმჟამინდელი საქართველოს ირგვლივ განვითარებული ტრაგიკული მოვლენები სულაც არ ყოფილა ძნელი დასანახი.

რაც მთავარია, მისი გაღმერთების მცდელობები შეურაცხყოფს ამ ალალი, ტრაგიკული პიროვნების სახელს და ემსახურება მაშინდელ ხელისუფლებაში აღზევებული თაღლითთა ბანდის გამართლებას.

ვიდრე ქვებს დამიშენდეთ, გთხოვთ, იმჟამინდელი მაღალი თანამდებობის პირების სიას გადახედოთ. განსაკუთრებით

იმ „ლიდერებს“ მიაქციოთ ყურადღება, ზვიად გამსახურდიას პირველები რომ განუდგნენ. არც ის მაღალჩინოსნები დაივიწყოთ, ზვიადის ხელისუფლების კრიზისის დაწყებისთანავე, ან სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ თავი კრემლს და „მეგობარ“ ევროპას რომ შეაფარეს!

**თავისუფალი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ტრაგიკული აღსასრული არის არა ედუარდ შევარდნაძის ან თეიმურაზ ქორიძის, არამედ ზვიად გამსახურდიას უახლოესი გარემოცვის, დეგი არჩვაძეების, ე.წ. „პარვის ქალების“ და კოლექტიური თემურ ჭახნაკიას აზროვნების დონის „მხარდამჭერთა“ დამსახურება.**

ძალიანაც არ მინდა, მაგრამ უნდა დავუბრუნდე ბრძენი და მამაცი ჭახნაკიას კომენტარებს ჩემს ხსენებულ წერილზე. უფრო ზუსტად, ამ წერილის ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებულ ნაწილზე:

**„რადგან თემურ ქორიძე ერქვა ერისკაცს და ქართული პოლიტიკური პუბლიცისტიკის შუქურას, მის მოსახელეს, შევარდნაძის მეხოტბეს, სიმბოლურად ვუწოდებ ფალოსოფოსს. ეს ფალოსოფოსი ჩემზე წერს, რომ თითქოს „ახალგაზრდებს ტვინს ვუწამლავ“, როდესაც წყაროების მითითებით გვერდზე ვათავსებ საქართველოს დამქცევთა სალანძღავ პოსტებს. ამ ფალოსოფოსს მეტი არაფერი შეუნიშნავს ჩემს გვერდზე, მხოლოდ ცუდი ჩხვლეტა იგრძნო, უსიამოვნო ადგილებში. არადა მთელმა პოეტურმა ელიტამ იცის, რომ აბსოლუტურად უანგაროდ, 10 წელია ლექსმწერებს და მხარტვრებს წარმოვაჩენ, მთელს ენერგიას და დროს ვახარჯავ მარტოკაცი ამ საქმიანობას, კეთილი მიზნით, ნიჭიერებს გზა გავუკვალო და შევეწიო, გონება გავუნათო, რომლის დახშობასაც ამისნაირი ფალოსოფოსები ცდილობენ ამაოდ“** (სტილი დაცულია — **თ.ქ.**)

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ: ამას წერს თანამედროვე ქართული პოეზიის დიდი ამაგდარი, თავადაც პოეტი და ლიტერატურის კორიფე (აბა, ოპონენტის დასახასიათებლად, მას რომ მოსწონს, იმ ეპითეტებს ხომ არ მოვიშველიებ!). თანაც, მისეულ მიჯრით ჩამომწკრივებულ შვიდ კომენტარში ჩემი, პაპისტოლა ქართველი კაცის მისამართით, ზედიზედ 17-ჯერ (ჩვიდმეტჯერ!) იმეორებს ეპითეტს „ფალოსოფოსი.“

ბრძენი ჭახნაკიას და მისი ახალგაზრდა შეგირდების (დიდი მასწავლებელი რომ „გონებას უნათებთ“) გასაგონად ვიტყვი, რომ რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ლიტერატორი თემურ ქორიძე იყო ჩემი მეგობარი მრავალი წლის განმავლობაში. ამავე დროს, იყო ჩემი პუბლიცისტური ნაშრომების ერთგული მკითხველი და დამფასებელი. ისევე, როგორიც მე — მისი შემოქმედებისა.

ამ ახალგაზრდების გასაგონად იმასაც ვიტყვი, რომ მრავალწლიანი ჟურნალისტური საქმიანობის განმავლობაში შევხვედრივარ უამრავ ავად თუ კარგად ცნობილ ადამიანს — პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, რევოლუციონერებს, სამხედრო ჩინოსნებს, გლეხებს, სატუსაღოების გუშაგებს, ქურდებს თუ ბანდიტებს. არა მგონია, დიდი დანაშაული იყოს, რომ პირადად ვიცნობდი ედუარდ შევარდნაძეს, ჯუმბერ პატიაშვილს, გივი გუმბარიძეს, ზვიად გამსახურდიას, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ კიტოვანს, თენგიზ სიგუას, მურმან ომანიძეს, ზურაბ ჟვანიას, ვენერა ურუშაძეს (ვეფხისტყაოსნის ინგლისურ ენაზე მთარგმნელი ქალბატონი), ნინო გეგეჭკორს (ლავრენტი ბერიას მეუღლე), სერგო ბერიას (ლავრენტი ბერიას ვაჟიშვილი), ჭაბუა ამირეჯიბს, ანა კალანდაძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს, აკაკი ბაქრაძეს, ლევან თედიაშვილს... თვით მიხეილ სააკაშვილსაც კი.

* * *

**ერთ სახალისო ისტორიას გიამბობთ.**

**სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ (შევარდნაძე უკვე საქართველოშია) გაზეთ „დრონის“ რედაქციაში ჯაბა იოსელიანმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. მივედი. ჩვენს შორის დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:**

— იცი რა, თემურ, ერთი კარგი გაზეთის გაკეთება მინდა და შენი დახმარება მჭირდება.

— იცი რა, ჯაბა ბიძია, კარგი გაზეთის გამოშვებას, კარგი ფული სჭირდება.

— ფული მაქვს, კაცო... დოდო, — თავის მარჯვენა ხელს, დოდო გუგეშაშვილს მიმართა. — ნახე ერთი, სეიფში ფული რამდენი გვაქვს (გაგიკვირდებათ და, ჯაბა იოსელიანს, საერთოდ, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ფინანსებზე).

— 500 დოლარი გვაქვს, ბატონო ჯაბა.

— აჰა, ხო გითხარი, ფული გვაქვს-მეთქი.

— მაგ ფულით ახლა ერთ კარგ კედლის გაზეთს გაგიკეთებ. დანარჩენზე კი შევარდნაძე ციხიდან რომ გამოგიშვებს, მერე ვილაპარაკოთ.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრ სხვასთან ერთად ჯაბა იოსელიანიც ციხეში მოხვდა. ერთ მშვენიერ დღესაც ციხიდან მირეკავს:

— შენა, თემურ, კაცო, ვანგა ხომ არა ხარ, ვანგა, ააა?!

ორმოცწლიანი ჟურნალისტური საქმიანობის განმავლობაში პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, სამართალზე, სოციალურ საკითხებზე, ლიტერატურაზე, კონკრეტულ პირებზე და კონკრეტულ მოვლენებზე გამოქვეყნებული მაქვს 2000-მდე ანალიტიკური პუბლიცისტური სტატია. კომუნისტური რეჟიმის დროს დაუნდობლად ვაკრიტიკებდი კომუნისტურ ხელისუფლებას, გამსახურდიას დროს — გამსახურდიას ხელისუფლებას, შევარდნაძის დროს — შევარდნაძის ხელისუფლებას, სააკაშვილის დროს — სააკაშვილის ხელისუფლებას... როგორც წესი და რიგია, ისე ვერ ვაკრიტიკებ „ოცნების“ ხელისუფლებას — გვარამიული ოპოზიციის მხარდაჭერა რომ არ დამბრალდეს.

გამოცემული მაქვს ოთხი სოლიდური წიგნი (გამოსაცემად მზად არის კიდევ რვა წიგნი).

ალბათ ამის ბრალია, რომ ჭახნაკიას ლიტერატორი თემურ ქორიძე და პუბლიცისტი თეიმურაზ ქორიძე ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია.

ვერც გაარჩევდა, რადგან ამ უმამაცესი ბიჭუნას დაბადებამდე და მერეც, დედიკოს ძუძუებზე რომ ეკიდა, ჟურნალისტი და პუბლიცისტი, საჰაერო-სადესანტო არმიის ყოფილი ოფიცერი, სამი შვილის მამა „ვინმე თეიმურაზ ქორიძე“ ქვეყნის გადასარჩენად, საბედისწერო სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად დღედაღამ იბრძოდა თბილისშიც, აფხაზეთშიც, ზუგდიდშიც, ცხინვალის რეგიონშიც და სამტრედიაშიც...

როცა წინა სტატიას ვწერდი („რატიანიზმი...“), „პოეზიარის“ მფლობელის ვინაობით არ დავინტერესებულვარ. ამჯერად უკვე ვიცი, რომ ჭახნაკია პოეტი ყოფილა. მისი ლექსებიც წავიკითხე. ამის დასტურად შემოგთავაზებთ ერთ სტროფს მისი ლექსიდან:

„დუმს ვნებების მინდორი ქცეული ტანახად,
ულპობი ძარღვია, ზღვა სისხლის თერმოსი,
წარსულმა ყრუ აწმყოს მიზნები დალახვრა,
დაფიქრდი, ტაეპში სიბრძნე დევს თემოსი.“

**თუ ვინმე ამ სტროფში თემოს სიბრძნეს აღმოაჩენთ, აუცილებლად შემატყობინეთ. ჩემი მხრიდან კი შეგახსენებთ, რომ როგორც ჭახნაკიას შემოქმედების თაყვანისმცემელმა, ამ წერილში იგი ბევრჯერ მოვიხსენიე ბრძენკაცად. ალალი იყოს!**

**P. S. ეს წერილი თავისი შინაარსით არ არის ის, რასაც ბატონი ჭახნაკია თავისი უკიდურესი უზრდელობისა და თავხედობის გამო იმსახურებს. იმედია, გამოუჩნდება ვინმე კეთილისმყოფელი და გოდიშის მოხდას ურჩევს.**



**თეიმურაზ ქორიძე**

21. 08. 2026

# არაკაცი, რომელიც რუსეთის მომავალს სპობს...

**ოთხი წლის წინათ, რუსეთის პირსისხლიანი დიქტატორის პუტინის მიერ წამოწყებული „ბლიც-კრიგი“ უკრაინის წინააღმდეგ სამარცხვინოდ გაიწელა და მისი სრულიად ამაზრზენი პროპაგანდისტები — „გასათხოვარი“ ვაჟიშვილის პატრონი სოლოვიოვი, გულისამრევი სკაბეევა, მასზე არანაკლებ ბომბეშო სიმონიანი ცდილობენ თავიანთი „სეთურის“ „საქმეთა საგმიროთა“ გამართლებას, მისთვის პირისა და სხვა „საინფორმაციო ღრუბების“ გამოწმენდას. თუმცა კი, თვალთა მქონენი ყველაფერს ვხედავთ, ყურთა მქონენი კი ყველაფერს ვისმენთ და სათანადო დასკვნებიც გამოგვაქვს!..**



**ორიდე დღის წინათ კი ამ პროპაგანდისტულ კამპანიაში „პირველი ვიოლინოს“ ტვირთი უკვე დედა ტერეზას როლში მოვლენილმა თავად პოლკოვნიკყოფილმა პუტინმა იკისრა და „სპეციალური სამხედრო ოპერაციაში“ დაღუპულ რუს მეომართა დედებს კრემლში შეხვდა. ამ თავყრილობის ამსახველი მცირე მასალა რუსეთის პროპაგანდისტულმა არხებმა, ბუნერივია, ოკრესტრირებულად აჩვენეს, შემდეგ კი მსოფლიოს წამყვანმა ტელევიზიებმა არაერთგზის გადმოსცეს, რამაც მართლაცდა, გასაოცრად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ნამუსიან მსმენელსა და მნახველზე. პუტინის უკიდეგანო ცინიზმი კი, რომლითაც მან დაღუპულთა დედებს „ანუგეშა“, ყველა წარმოსადგენ ზღვარს გასცილდა:**

**— დასანანი კია, რომ თქვენი შვილები დაიღუპნენ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ისინი ლოთობას, ნარკომანიას გადაჰყოლოდნენ, ანდა ავტოსაგზაო შემთხვევების მსხვერპლი გამხდარიყვნენ?! ახლა კი მათ სიკვდილს აზრი მიეცა, ისინი სამშობლოს შეეწირნენო!..**

**ამ სიტყვების კომენტარი ზედმეტად მიმაჩნია!..**

**ოთარ ტურაბელიძე**

# უკრაინის „ავანტიურას“ პუტინი სასტიკად უპასუხებს!



**კიევმა მიზნად დაისახა ჩვენი ეკონომიკის დაზიანება, „პანდორას ყუთი“ გახსნა, ახლა მიიღეთ პასუხი თქვენს ყველაზე მგრძნობიარე ეკონომიკურ სექტორებზე,** „ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** განაცხადა.

მისივე თქმით, რუსეთის მიერ უკრაინის ინფრასტრუქტურაზე განხორციელებული დარტყმები ეფექტურია.

**„ისინი დროულია, უდავოდ ეხმარება ჩვენს ჯარისკაცებს „ჩვენს ბიჭებს, გმირებს ფრონტზე, საბრძოლო ამოცანების შესრულებაში. რატომ? იმიტომ, რომ ისინი აფერხებენ ტექნიკისა და საბრძოლო მასალის მიწოდებას, ასევე პერსონალის როტაციას საბრძოლო შეხების ხაზის გასწვრივ. ხელს უშლიან უკრაინის თავდაცვის ინდუსტრიის საწარმოებს იარაღის გაუმჯობესებაში. ეს გაუმჯობესება კი ხდება დასავლელი სპონსორების არა უბრალოდ მხარდაჭერით, არამედ მათი პირდაპირი მონაწილეობით“,** „განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

პუტინის თქმით, რუსეთმა დარტყმები უკრაინის „ავანტიურაზე“ საპასუხოდ გააძლიერა. **„ჩვენ გავაძლიერეთ დარტყმები უკრაინის თავდაცვის ინდუსტრიის საწარმოებზე, მათ შორის კიევში მდებარე საწარმოებზე, დავიწყეთ პასუხის გაცემა მტრის მოქმედებებზე ჩვენი სამოქალაქო სამრეწველო და ლოჯისტიკური ობიექტების წინააღმდეგ. კიევმა მიზნად დაისახა ჩვენი ეკონომიკის დაზიანება“,** „აღნიშნა **პუტინმა.**

ამასთან, როგორც პუტინმა განაცხადა, დარტყმები, რომლებმაც უკრაინის სასოფლო-სამეურნეო ექსპორტს საფრთხე შეუქმნა, გლობალურ სურსათის დეფიციტს არ გამოიწვევს, რადგან, მისივე თქმით, რუსეთი შეძლებს უკრაინული ექსპორტის ჩანაცვლებას, მიუხედავად იმისა, რომ კიევმა მიზანში რუსული მარცვლეულის საექსპორტო ინფრასტრუქტურა ამოიღო.

# ირანის პასუხი სეისმური მასშტაბის იქნება!

**ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ჩვენ წინააღმდეგ ეკონომიკური შეზღუდვების დაწესებაში, მტრად ჩაითვლება,** — განაცხადა ირანის ეროვნული უსაფრთხოების უზენაესი საბჭოს მდივანმა და ირანის უზენაესი ლიდერის **მოჯტაბა ჰამენეის** სამხედრო მრჩეველმა **მოჰსენ რეზაიმ.** მისივე თქმით, თუ შტატების პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** შემდგომ მოქმედებას გადაწყვეტს, ირანის პასუხი სეისმური მასშტაბის იქნება.



ამასთან, ირანული მედია ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელზე დაყრდნობით იუწყება, რომ თეირანმა სამხედრო შეიარაღებისა და ტექნიკის წარმოება გააძლიერა.



ბესარიონ კილასონია
პროფესორი,
სასამართლო ექიმი

# პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა

## „მიყვარს თვალები, მიბნედილები“

**ჩემი თანამედროვეებისაგან ხშირად მომისმენია გრიგოლ ორბელიანის მიმართ საყვედური, გენიოს დისშვილს რატომ არ მიხედაო? ეს საყვედური არ მიმაჩნია მართებულად და, ვინც კარგად გაეცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიას, მიხვდება, რომ დიდ შეცდომას უშვებს.**

გრიგოლ ორბელიანი თორმეტი წლით უფროსია თავის დისშვილზე. ნიკოლოზი უღრმესი პატივისცემით არის განმსჭვალული ბიძის მიმართ, ყოველგვარ წარმატებას მას აგებინებს: რუსული ისწავლა □პირველ წერილს რუსულად უგზავნის; გიმნაზიის დამთავრების შემდეგ □მომავალი ცხოვრების გზას უთანხმებს; ლექსს დაწერს □პირველად გრიგოლს უგზავნის, უპირველესად მისი აზრი აინტერესებს.

ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს: □გრ. ორბელიანს ერთობ ჰყვარებია პატარა ნიკოლოზი. საკეთილშობილო სკოლიდამ თითქმის ყოველ დღე გრ. ორბელიანთან დადიოდა, სადილად მასთან რჩებოდა, სადილის შემდეგ საღამოზედ მიდიოდა თავიანთ სახლში, ანჩისხატის უბანში...□

მელიტონის ხელგაშლილმა ცხოვრებამ, მისმა გაღატაკებამ მძიმე საფიქრალი შეუქმნა მელიტონის ცოლის ძმებს, განსაკუთრებით, ტატოს სიკვდილის შემდეგ, ობლად დარჩენილი პოეტის დებზე და ავადმყოფ მშობლებზე ზრუნვა ძმებ ორბელიანებზე გადადის.

გრიგოლ ორბელიანი მებრძოლი ჯარისკაცია: 1822-1830 წლებში ლეკების წინააღმდეგ იბრძვის, 1826-1827 წლებში რუსეთ-ირანის და 1828-1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომშია. 1833 წელს შეთქმულებაში მონაწილეობის გამო აპატიმრებენ და ამწესებენ ნევის საზღვაო პოლკში, 1842 წელს დაღესტანშია, შამილის რაზმებს ებრძვის. თბილისში გადმოჰყავთ 1858 წელს და 1859 წლიდან ასრულებს მთავარმართებლის მოვალეობას, როცა ბარათაშვილი უკვე თოთხმეტი წლის გარდაცვლილია. თუ გაეცნობით გრიგოლ ორბელიანის წერილებს, მას არ ავიწყდება თავისი დის ოჯახი, ხშირად ეხმარება და, თუ ამის საშუალება არა აქვს, ძმებს □ზაქარიას და ილიას ავალებს, რომ მიხედონ მელიტონის ოჯახს. მოვიყვან 1845 წლის 19 იანვრის გრიგოლ ორბელიანის წერილს, გაგზავნილს თავისი ძმის ზაქარიასადმი: □**ილიასაგან მომივიდა წიგნი, რომელშიაც მაცნობებს მელიტონის დამბლობასა, შენი მტერი შეწუხდეს ისე, როგორც მე, ამ ამბითა, რა უნდა ჰქნას სიყრმითვე ეფემიამ, რით შეინახოს ესოდენი წვრილი შვილები, სრულიად ღატაკად დაშთომილნი, ტატოც ნახჩევანში წასულა ლევანთან ერთად. □ამდენს ჩვენის თავის ვაი ვაგლახს ესღა გვაკლდა; რა უყოთ ან როგორ შევეწივნეთ უსახლკაროსა, უპუროსა, უტანისამოსოს ჩვენს დასა? ეს ფიქრი მაგიჟებს სრულიად, ნეტავი მოვკვდე და ამდენს სიგლახაკეს მოვრჩე**□

გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებში ძალიან ხშირად გვხვდება საუბარი მელიტონისა და ეფემიას გაჭირვებულ მდგომარეობაზე. ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ერთ წლის შემდეგ, 1846 წელს, პირველ ივლისს გრიგოლი უგზავნის წერილს ძმას □ ილიას: □ეს ფული შენ ნუ მომიკვდები, ეფემიასთვის მინდოდა, და ამ წყეულმა დედაკაცმა გამომტაცა ხელიდამ... ასე, რომ ეფემიას ვეღარ გაუგზავნი; ეგებ შენ, ჩემო ილიკო, ხუთის თუმნით მაინც შეეწიე...□; იმავე წლის 29 ივლისს იწერება გრიგოლი: □ჩემო ილიკო, რაღა ჩემგან გინდა დარიგება, რომ ჩვენს საბრალო ეფემიას უნდა შეეწიო ხოლმე შენის შეძლებისამებრ. □ჩვენის მეტი ვინღა ჰყავს საწყალსა ნუგეშად.□

ილია ჭავჭავაძე გვმოძღვრავდა, რომ □**ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა**□

ჩემი თაობა სოციალიზმის დროს აღიზარდა, მათ ახსოვთ პროფესია □მწერალი, რაც უზრუნველყოფდა ცნობილი მწერლების უზრუნველ ცხოვრებას. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქაში მწერლის პროფესია არ არსებობდა. ხშირად გამიგონია, რომ ილია ჭავჭავაძის აღმოჩენილია ნიკოლოზ ბარათაშვილი. ბარათაშვილი სიცოცხლის დროსაც ცნობილი პოეტი იყო. იმ პერიოდში ლექსს მრავალი წერდა და, მათივე აღიარებით, ბარათაშვილი უპირველესი იყო. მისი ლექსები ხელნაწერ კრებულებში ქვეყნდებოდა, ლიტერატურულ ცხოვრებაში ნამდვილი სახელისა და გვარის გარდა იყენებდა ფსევდონიმად □**შირიან ივერს**□და □**შირიან ივერიელს**□





გრიგოლ ორბელიანი

დიმიტრი ყიფიანი იგონებს: □ის წრე, რომელშიაც იგი ტრიალებდა, □თუ გამოვაკლებთ ხერხეულიძეს და პლატონს □შესდგებოდა მთლად პოეტებისაგან; მაგრამ მათი ნაწარმოებები არ შენახულა, ან შენახულა ერთადერთ წიგნაკში, სადაც ეს მათ ჩასწერეს და აჩუქეს, როგორც კრებული, მანანა ორბელიანს, რომელიც მათ გულღიად იღებდა და, როგორც პატივცემული დედაკაცი. ახალისებდა მათ ამგვარი შრომისათვის. ეს წრე დაიშალა ტატოს სიკვდილის გამო და ეს პოეტები ყველანი გადაიქცნენ საქმის კაცებად, რომლებშიაც ძნელი წარმოსადგენია ახლა, თუ ოდესმე შევრდომილი იყო სხივი პოეზიისა. მაგრამ ქართველები, სულ ოდნავ მცოდნენი წერა-კითხვისა, მაშინ მაინც ყველა პოეტი იყო, ახლა □სულ სხვაა□

ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლეში არ იყო ქართული პერიოდული პრესა, რომ პოეტის სახელი მთელი ერისათვის ყოფილიყო ცნობილი, ხოლო ბარათაშვილის ახლობელთა წრე მის პოეზიას კარგად იცნობდა. 1852 წელს, გამოვიდა თუ არა პირველი პერიოდული ჟურნალი □ცისკარი□ დაიბეჭდა ბარათაშვილის ლექსები.

პოეტის აღიარება მოხდა □თერგდალეულთა□თაობის მიერ ეს ის თაობაა, რომლებიც იღებენ ევროპულ განათლებას, ეუფლებიან ევროპულ ფილოსოფიასა და ლიტერატურას

იცნობენ ბაირონისა და ლერმონტოვის შემოქმედებას, ბარათაშვილის პოეზიას ადარებენ საყოველთაოდ აღიარებულ ცნობილ პოეტებს და მგოსნის ფილოსოფიური პოეზიის სიღრმეებს სწვდებიან. ილია ჭავჭავაძემ და ამ თაობამ გააცნო ქართულ საზოგადოებას ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის მასშტაბურობა. ილია იყო პირველი, რომელმაც დაინახა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები.

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე მონოგრაფიაში □ბარათაშვილის პოეტური გენია□აღნიშნავს: □ჭინაიდან სოფიო ნამდვილად ძალიან ჰგავდა თავის უფროს ძმას, აგრეთვე ილია ორბელიანი, .... დანარჩენი დებიც ბევრ რამეში ემსგავსებოდნენ პოეტს, გარდა ამისა, ოთხივე დის ფოტოგრაფიული გამოსახულება ჩვენამდე მოღწეულია, ახლა საჭიროა ერთი რამ გაკეთდეს: მიხეილ თუმანიშვილის ცნობილი ესკიზის, პოეტის თანამედროვეთა აღწერების, ილია ორბელიანისა და ბარათაშვილის დების პორტრეტების ანალიტიკურ-სინთეტიკური მეთოდით აღსდგეს □მერანის□ავტორის ძვირფასი სახე□

**ნახევარი საუკუნის წინ გამოთქმული ამ მოსაზრების გადაწყვეტა დღევანდელ პირობებში, ვფიქრობ, კომპიუტერული პროგრამით ადვილი შესასრულებელია და ამ მიზნით მივმართე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ჰაბიტოსკოპიური და კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილების უფროსს, რომლის დახმარებითაც, დავეყრდენით რა მ. თუმანიშვილის ესკიზს, ნ. ბარათაშილის დების და, განსაკუთრებით, უმცროსი დის სოფიო ბარათაშვილის სურათს, ასევე ნ. ბარათაშვილის თანამედროვეთა მოგონებებს, შევქმენით ნ. ბარათაშვილის პორტრეტი, რომელიც მიახლოებული იქნება რეალობასთან, მაგრამ სრულფასოვანი გამოსახულების მისაღებად საჭიროა ბარათაშვილის ნეშტის ექსჰუმაცია და დღეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდით, თავის ქალას მიხედვით, რეალური პორტრეტის შექმნა.**

ჩემი ნაშრომის მიზანია ქართულ საზოგადოებას დავანახო ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის შექმნის აუცილებლობა. სასამართლო მედიცინას, რომელიც იყენებს ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებების თანამედროვე მიღ-წევებს, შესაძლებლობა აქვს ადამიანის თავის ქალასგან 3D პრინტერით მიღებული გამოსახულებისაგან მოახდინოს სახის სრული რეკონსტრუქცია და მიღებული სურათი ობიექტურად ასახავდეს პიროვნების საძიებელ სახეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ცნობილია პიროვნების თვალისა და თმის ფერი, ცხვირისა და წარბების ფორმა, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილის შემთხვევაში კარგად არის შემონახული თანამედროვეთა მოგონებებით. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას სჭირდება სახელმწიფოს მართვის ორგანოებისა და საზოგადოების თანხმობა.



ნიკოლოზ ბარათაშვილის დები. (მარცხნიდან ) სხედან: ბარბარე ვეზირიშვილისა, ნინო ბარათაშვილისა, გიორგი (ბარბარეს შვილი), სოფიო სუმბათაშვილისა; დგანან: ტასო ჩერქეზიშვილისა (ნათესავი), ნინო (ბარბარეს შვილი).

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №99-100, 101-102, 103-104, 105-106, 107-108, 109-110, 111-112

## რედაქციისგან:

სასამართლო ექიმის, პროფესორ ბესარიონ კილასონიას პუბლიცისტურმა კვლევამ ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის შესახებ არნახული ინტერესი გამოიწვია. დიდი პოეტის შემოქმედებით და „შავი ბედით“ დაინტერესებული მკითხველი, ქართული ლიტერატურის მკვლევრები და ლექტორ-მასწავლებლები ერთსულოვნად ეხმაურებიან სასამართლო ექიმის ორიგინალურ კვლევას და, ძირითადად იწონებენ კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებულ მის მოსაზრებებს.

მკითხველთა ნაწილი კი ეჭვის ქვეშ აყენებს ბატონ ბესარიონ კილასონიას ამა თუ იმ მიგნებას.

ეს ძალიან კარგია და გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ პუბლიკაციის ავტორის საექიმო-საექსპერტო ანალიზმა გაამართლა.

გულწრფელად ვისურვებდით, რომ ბატონმა ბესო კილასონიამ გააგრძელოს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნამდვილი პორტრეტის შექმნისთვის ბრძოლა!



# „შავი ზღვის თაფლის ფესტივალი 2026“

**ბათუმში „შავი ზღვის თაფლის ფესტივალი გაიმართა. ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ცოტნე ანანიძესთან და აჭარის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრთან, დენის სალუქვაძესთან ერთად დაესწრო.**

მთავრობის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ფერმერების მხარდაჭერაზე, ქართული თაფლის პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ მთავრობის ხელშეწყობით, 2026 წელს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, მეფუტკრეობის მიმართულებით სხვადასხვა პროექტი ფინანსდება და მიმდინარეობს ფერმერების თანადაფინანსებაც. ასეთი ღონისძიებების ორგანიზება კი დამატებითი ბერკეტია მეფუტკრეების შესაძლებლობების გაზრდისა და მოტივაციის გაძლიერებისთვის.

**„აჭარაში მეფუტკრეობას მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. ჩვენი რეგიონის უნიკალური ბუნებრივი პირობები შესაძლებლობას გვაძლევს, ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი პროდუქცია. სწორედ ამიტომ, მსგავსი ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერმერებისთვის ისინი მომხმარებელს უშუალოდ აცნობენ საკუთარ პროდუქციას, ქმნიან ახალ პარტნიორულ ურთიერთობებს და ზრდიან ქართული თაფლის ცნობადობას.**

**ჩვენი სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს მეფუტკრეებისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში ჩართული ფერმერების მხარდაჭერას. დარწმუნებული ვარ, ქართული თაფლი კიდევ უფრო დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე“**, – განაცხადა დენის სალუქვაძემ.

ფესტივალი აჭარის მეფუტკრეობის ბიზნესასოციაციის ორგანიზებით, აჭარის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსა და აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით ჩატარდა.

# ბოლნისში ძველი გერმანული დასახლების და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია იგეგმება

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ბოლნისში ტურისტული და ურბანული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის ტენდერი გამოაცხადა. ტენდერი მოიცავს როგორც საპროექტო მომსახურების, ისე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას.**



პროექტის ფარგლებში უნდა ჩატარდეს გერმანული დასახლების ისტორიული არეალის, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები ადგილზე მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი შონიამ, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა ილია ჯალაღანიამ, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის დელეგატმა დავით შერაზადიშვილმა და სხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

**„დაგეგმილია ისტორიულ უბანში არსებული შენობა-ნაგებობების, ქუჩების და საფეხმავლო ინფრასტრუქტურის განახლება, საინჟინრო ქსელების, გარე განათების და საზოგადოებრივი სივრცეების მოწესრიგება.**

**ცენტრალურ პარკში მოეწყობა სპორტული, რეკრეაციული და კულტურული ზონები, საბავშვო სივრცეები, საფეხმავლო და ველობილიკები, ასევე განახლდება 9 აპრილის მემორიალი. პარკის და ისტორიული არეალის განვითარების ფარგლებში იგეგმება, ასევე, გარე განათების, საინფორმაციო მანიშნებლების, წყლის ობიექტების, შადრევნების, სარწყავი და უსაფრთხოების თანამედროვე სისტემების მოწყობა. პროექტი ასევე მოიცავს წყალმომარაგების, კანალიზაციის, სადრენაჟე სისტემებისა და ელექტრომომარაგების ქსელების განახლებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კულტურული ტურიზმის განვითარებას. დაგეგმილია არქეოლოგიური ძეგლების, შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურისა და გერმანული დასახლების ერთიან ტურისტულ მარშრუტში გაერთიანება, რაც ბოლნისს კიდევ უფრო მიმზიდველ მიმართულებად აქცევს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის.**

**გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს ღვინის ტურიზმის მიმართულების განვითარებასაც. ისტორიული გერმანული მარნების ფუნქციური აღდგენა და მათი დაკავშირება ბოლნური მეღვინეობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთან ხელს შეუწყობს რეგიონის ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნებასა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებას“.**

# 50 ეთნიკურად აფხაზი და აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა კუნძულ როდოსზე

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრომ, მსოფლიო საპატრიარქოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, საბერძნეთში, კუნძულ როდოსზე, აფხაზეთიდან დევნილი 11-დან 15 წლამდე ახალგაზრდებისთვის საერთაშორისო ბანაკი მოაწყო.**

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, ბანაკში აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებთან ერთად, მონაწილეობდნენ სოფელ ფერიაში მცხოვრები ეთნიკურად აფხაზი ახალგაზრდებიც. საერთო ჯამში, პროგრამაში 50 ეთნიკურად აფხაზი და აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა ჩაერთო. ახალგაზრდები 7 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით, ორი კვირის განმავლობაში მრავალფეროვან კულტურულ-შემეცნებით და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ. მათთვის მოეწყო ექსკურსიები როდოსის ისტორიულ ადგილებში. **პროექტის ფარგლებში, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა, დეკანოზმა იოანე გორელიშვილმა მონაწილეებისთვის ლექციები წაიკითხა ღირებულებითი განათლების შესახებ. ბანაკის დახურვის ღონისძიებაზე ახალგაზრდებმა ბერძენ მასპინძლებს ქართული ტრადიციული ცეკვები და სიმღერები წარუდგინეს.**



# „ქართულო მიწავ! ნუ გასხვისდები“

## ჰერელი პოეტის ზურაბ პაპიაშვილის ახალი წიგნი „აღმართიდან აღმართამდე“



**ისტორიულ ჰერეთში მცხოვრები პოეტის ზურაბ პაპიაშვილის ახალი, მე-5 კრებული – „აღმართიდან აღმართამდე“ გამოიცა. წიგნის წარდგენა და პოეტის 65 წლის იუბილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ეს იყო ამაღელვებელი შეხვედრა დედასამშობლოს მოწყვეტილი მხარის შვილთან... ცრემლი, სევდა და სიხარული ერთად დაუფლებოდა ყველას.**

**„აღმართიდან აღმართამდე“, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (მაშინ ასე მოიხსენიებოდა) მხარდაჭერით, 2023 წელს დაიბეჭდა. წიგნის გამოცემის ინიციატივა და ორგანიზება, „ჰერეთის სახლის“ დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა, აგრეთვე ანსამბლ „ჰერულას“ დამაარსებელმა და მხატვრულმა ხელმძღვანელმა ვასილ პაპიაშვილმა ითავა.**

**წიგნი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ჩემი მე-5 კრებულია, ამავდროულად მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს მოწყვეტილი კუთხის დედასამშობლოსთან, უწყვეტი კულტურული კავშირის, ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს,** – აღნიშნავს ავტორი.

# საერთაშორისო არტისტები ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში

**ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი საერთაშორისო არტისტებს მასპინძლობს.**

18 კორეელი მხატვრის ნამუშევარი თვითგამოხატვის ახალი ფორმების მუდმივ ძიებას ასახავს და თანამედროვე სამყაროს სოციალურ, კულტურულ და გარემოსდაცვით თემებს ეხება. გამოფენა დამთვალიერებელს სთავაზობს, დაინახოს, როგორ პასუხობენ სრულიად განსხვავებულ სოციოკულტურულ გარემოში მოღვაწე ხელოვანები იმ შეკითხვებს, რომელიც თანამედროვეობის ყველასთვის აქტუალურ და მნიშვნელოვან პრობლემატიკას ეხმაურება.



## შეცდომაა – „ГРУЗИЯ СНАБЖАЕТ АБХАЗИЮ БЕНЗИНОМ“




# ლინგვისტური კარტოგრაფია: როგორ ქმნის ენა პოლიტიკურ საზღვრებს ცნობიერებაში

**რუკა მხოლოდ ქაღალდზე არ იხაზება. სახელმწიფოებრივი სივრცე არსებობს სამართალში, პოლიტიკაში და ისტორიულ მეხსიერებაში, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი რუკაც, რომელსაც ადამიანი საკუთარ ცნობიერებაში ატარებს. ეს არის ენის მიერ შექმნილი მენტალური რუკა.**

**სწორედ ამიტომ, პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხებში სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ერთი შეხედვით, უწყინარმა ფორმულირებამ შეიძლება ცნობიერებაში ისეთი საზღვარი გაავლოს, რომელიც რეალურ სახელმწიფოებრივ რუკას ეწინააღმდეგება.**



**ამის კარგი მაგალითია რუსულენოვან საინფორმაციო სივრცეში გავრცელებული ფრაზა: „Грузия снабжает Абхазию бензином“. ქართულად ეს ნიშნავს: „საქართველო აფხაზეთს ბენზინით ამარაგებს“.**

**ფაქტობრივი შინაარსი შეიძლება გასაგები იყოს, მაგრამ პრობლემას წინადადების სტრუქტურა ქმნის. „საქართველო“ წარმოდგენილია ერთ სივრცედ, „აფხაზეთი“ კი მეორე, მისგან გამოყოფილ სივრცედ. ერთი აწვდის, მეორე იღებს. სწორედ აქ იწყება ლინგვისტური კარტოგრაფია. თუ აფხაზეთის რეგიონი საქართველოს ნაწილია, მაშინ მისი მთელი სახელმწიფოს პარალელურ პოლიტიკურ კატეგორიად წარმოდგენა სემანტიკური შეცდომაა. როდესაც ეს ფორმულა გამუდმებით მეორდება, შეცდომა უკვე სემიოტიკურ შედეგს წარმოშობს.**

რუსულენოვან საინფორმაციო სივრცეში ხშირად გვხვდება ისეთი კონსტრუქციები, როგორებიცაა: „Грузия и Абхазия“; „между Грузией и Абхазией“; „из Абхазии в Грузию“; „Грузия помогает Абхазии“. პრობლემა განსაკუთრებით მაშინ ჩნდება, როდესაც ამ ფორმულებს ქართველი რუსულენოვანი ბლოგერებიც მექანიკურად იმეორებენ. მათ შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეთ სეპარატისტული პოზიცია. შესაძლოა პირიქით, საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის მხარდამჭერებიც იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური განზრახვა და ენის სემიოტიკური ეფექტი ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა.

**ადამიანმა შეიძლება ერთ წინადადებაში თქვას: „აფხაზეთი საქართველოა“, ხოლო შემდეგ დაამატოს: „საქართველო აფხაზეთს ეხმარება“. პირველი წინადადება ერთიანობას დეკლარირებს, მეორე კი ენობრივად ორ სხვადასხვა სივრცეს ქმნის. სწორედ ამ წინააღმდეგობაში ჩანს სემანტიკური დაუდევრობის საფრთხე.**

სემანტიკა ეხება იმას, თუ როგორ იქმნება მნიშვნელობა. სემიოტიკა კი იმას გვაჩვენებს, როგორ მოქმედებს ეს მნიშვნელობა, როგორც ნიშანი და როგორ აყალიბებს აღქმის ჩვევას. ფერდინანდ დე სოსიურის მიდგომით, მნიშვნელობა განსხვავებათა სისტემაში წარმოიქმნება. როდესაც „საქართველო“ და „აფხაზეთი“ ერთ წინადადებაში თანაბარ პოლიტიკურ კატეგორიებად დგას, მათი დაპირისპირება თვითონ ხდება მნიშვნელობის მატარებელი.

ჩარლზ სანდერს პირსის პერსპექტივიდან განმეორებული ნიშანი ინტერპრეტაციის ჩვევას აყალიბებს. როლან ბარტის ხედვით კი მუდმივად გამეორებული პოლიტიკური კონსტრუქცია საბოლოოდ შეიძლება იმდენად ბუნებრივად აღიქმებოდეს, რომ ადამიანი ვეღარც ამჩნევდეს მის ხელოვნურად შექმნილ ბუნებას. ამიტომ შეიძლება ითქვას, როდესაც უწიგნური ბლოგერი სემანტიკის დონეზე სცოდავს, საზოგადოება სემანტიკის დონეზე ზარალდება. ერთი წინადადება ბევრს ვერ შეცვლის, მაგრამ ერთსა და იმავე ფორმულირებას თუ ათასჯერ გაიმეორებ, ის უკვე მენტალური რუკის ნაწილად იქცევა.

**„საქართველო და აფხაზეთი“ ქმნის ორი ერთეულის განცდას. „აფხაზეთიდან საქართველოში“ ქმნის ერთი სივრციდან მეორეში გადასვლის შთაბეჭდილებას. „საქართველო აფხაზეთს ეხმარება“ ქმნის გარე დონორისა და ცალკე მიმღების ურთიერთობას. ასე ჩნდება უხილავი საზღვარი ჯერ ენაში და შემდეგ ცნობიერებაში.**

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა რუსულენოვან ქართველ ბლოგერებს ეკისრებათ. პრობლემა რუსული ენა არ არის. პრობლემა არის რუსულენოვან საინფორმაციო სივრცეში ჩამოყალიბებული პოლიტიკური სემანტიკის ავტომატური გადმოტანა ქართულ სახელმწიფოებრივ დისკურსში.

რუსულად საუბარი ერთია. სხვისი პოლიტიკური სემანტიკით საუბარი სხვა. სწორედ ამიტომ, რუსულენოვან ქართულ საინფორმაციო სივრცეს საკუთარი, სახელმწიფოებრივად გამართული ლექსიკა სჭირდება. არა „Грузия и Абхазия“, არამედ „Абхазский регион Грузии и остальная часть страны“. არა „из Абхазии в Грузию“, არამედ „из Абхазского региона в другие регионы Грузии“. არა „Грузия снабжает Абхазию“, არამედ ისეთი ფორმულირება, რომელიც ფაქტს ზუსტად აღწერს და ამავე დროს აფხაზეთის რეგიონს საქართველოს გარეთ არ ათავსებს. ეს სიტყვებით თამაში არ არის. ეს არის სახელმწიფოებრივი აზროვნების ენობრივი დისციპლინა.

**სახელმწიფოებრივი მთლიანობა მხოლოდ რუკაზე დახაზული საზღვრებით არ არსებობს. იგი უნდა არსებობდეს მოქალაქის ცნობიერებაშიც. თუ ერთიანი ქვეყანა მიწაზე ერთია, მაგრამ ადამიანის თავში ორად იყოფა, პრობლემა უკვე მხოლოდ პოლიტიკური აღარ არის. ის სემიოტიკური ხდება. ამიტომ მთავარი კითხვა ასეთია: რას ვხატავთ სიტყვებით ადამიანის თავში, ერთიან საქართველოს თუ ორ განცალკევებულ სივრცეს?**

**სახელმწიფოებრივი სივრცის დეზინტეგრაცია ყოველთვის ადმინისტრაციულ საზღვარზე არ იწყება. ზოგჯერ იგი წინადადებაში იწყება, იმ მომენტში, როდესაც ენა ჩვენს შიგნით არსებულს შეუმჩნევლად, ჩვენს გარეთ არსებულად აქცევს. რუკას მხოლოდ კარტოგრაფები არ ხატავენ. მას ყოველდღიურად, სიტყვებითაც ვხატავთ.**

**ლევან მეტონიძე,**
სოციოლოგი.



# მოხარშული ბაყაყის ეფექტი

## რა ემართება ჩვენს აზროვნებას, როცა საქმეში ხელოვნურ ინტელექტს ვიყენებთ!

**აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებული ახალი კვლევა მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება მოკლევადიანად ამაღლებს შესრულების ხარისხს...**

ნაშრომის ავტორების განცხადებით, □**AI-ს დახმარება შესრულებას მყისიერად აუმჯობესებს, თუმცა დიდი კოგნიტიური ფასის სანაცვლოდ**□

კვლევა ამჟამად პრეპრინტების პლატფორმა ARXIV-ზეა გამოქვეყნებული და რეცენზირება ჯერ არ გაუვლია.

ექსპერიმენტის ფარგლებში მკვლევრებმა 350 ამერიკელი მონაწილე შეისწავლეს, რომლებიც სხვადასხვა კოგნიტიურ ამოცანას – მათ შორის წილადებიან განტოლებებს – ასრულებდნენ. მონაწილეთა ნაწილი იყენებდა GPT-5-ზე დაფუძნებულ ჩატბოტს, დანარჩენებს კი ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტა უწევდათ. ექსპერიმენტის მიმდინარეობისას AI-ს მომხმარებელ ჯგუფს მოულოდნელად შეუწყდა ჩატბოტზე წვდომა.

შედეგებმა აჩვენა, რომ იმ ჯგუფში, რომელიც AI-ს იყენებდა, სწორი პასუხების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, ხოლო მონაწილეთა ნაწილი საერთოდ წყვეტდა მცდელობას. შესრულების ხარისხთან ერთად გაუარესდა გამძლეობაც.

მსგავსი შედეგები დაფიქსირდა 670 ადამიანზე ჩატარებულ დამატებით ექსპერიმენტშიც, ასევე წაკითხულის გააზრებაზე ორიენტირებულ კვლევაში.

კვლევის თანაავტორის **რაჩიტ დუბეიის** განცხადებით, □**როცა ადამიანებს AI-ს ვართმევთ, ისინი მხოლოდ არასწორ პასუხებს კი არ იძლევიან – ხშირად არც კი ცდილობენ ამოცანის დამოუკიდებლად შესრულებას. მათი გამძლეობა მცირდება**□

მკვლევრები ვარაუდობენ, რომ AI-ს ფართომასშტაბიანმა დანერგვამ, განსაკუთრებით განათლების სფეროში, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მომავალი თაობების უნარებზე – მათ შორის დამოუკიდებელ აზროვნებასა და შემოქმედებითობაზე. ნაშრომის ავტორები აღნიშნულ პროცესს ე.წ. □მოხარშული ბაყაყის□ეფექტს ადარებენ, როდესაც ცვლილებები თანდათანობით ხდება და პრობლემის სიმწვავე მოგვიანებით იჩენს თავს.

ამასთან, კვლევამ დადებითი ტენდენციაც გამოავლინა: მონაწილეები, რომლებიც AI-სგან მხოლოდ მინიშნებებს ან განმარტებებს იღებდნენ და არა მზა პასუხებს, გაცილებით უკეთ უმკლავდებოდნენ ამოცანებს მაშინ, როცა ჩატბოტზე წვდომა ეზღუდებოდათ. აღსანიშნავია, რომ ეს მხოლოდ ერთ-ერთი კვლევაა AI-ს გავლენის შესახებ. სხვა ნაშრომების მიხედვით, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამუშაო გარემოში შესაძლოა ზრდიდეს დაღლილობას, თუმცა ამავდროულად თანამშრომლებს მეტისა და უფრო ხანგრძლივი მუშაობისკენაც უბიძგებს.



# მარკ ცუკერბერგმა ირლანდიაში მე-19 საუკუნის ციხესიმაგრე შეიძინა

**Meta-ს აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ ცუკერბერგმა ირლანდიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მე-19 საუკუნის გოთიკური სტილის ციხესიმაგრე შეიძინა.**

Strancally-ის სახელით ცნობილი ისტორიული შენობა დაახლოებით 1830 წელს არის აგებული და მდინარე ბლექუოთერს გადმოჰყურებს. იგი კომპანიის ევროპის სათავო ოფისიდან 200 კილომეტრში მდებარეობს და არქიტექტურული არქივის თანახმად, 2003 წელს მას მასშტაბური სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანზაქცია უძრავი ქონების ფასების სახელმწიფო რეესტრში ოფიციალურად არ ფიქსირდება, გამოცემა The Irish Times-ის შეფასებით, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია პირველმა გაავრცელა, ქონების ღირებულება 20-დან 30 მილიონ ევრომდე მერყეობს.

**ცუკერბერგის პრესსპიკერის განცხადებით, მილიარდერი და მისი ოჯახი მოხარულები არიან ამ ისტორიულ სახლზე ზრუნვის შესაძლებლობით და ირლანდიაში დროის გატარებას მოუთმენლად ელიან.**

**ცნობისთვის, ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმის გამო, ირლანდიაში არაერთი ამერიკული ტექნოლოგიური გიგანტის, მათ შორის Meta-ს ევროპული შტაბბინა მდებარეობს, სადაც კომპანია დაახლოებით 1 500 ადამიანს ასაქმებს.**

# როგორ შეიძლება მწეველთა ქცევის ცვლილებამ ჯანდაცვის ხარჯები 722 მილიონი ევროთი შეამციროს

**მოწევა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემებისთვის მნიშვნელოვან ტვირთად რჩება. თამბაქოს მოხმარება დაკავშირებულია ფილტვის კიბოსთან, რესპირატორულ დაავადებებთან, ინსულტთან და ჯანმრთელობის სხვა პრობლემებთან, რაც, თავის მხრივ, ზრდის როგორც ჰოსპიტალიზაციის, ისე სამედიცინო ჯანდაცვის ხარჯებს.**




**იტალიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, თუკი სიგარეტის მომხმარებელი ზრდასრული მწეველების ნაწილი თამბაქოსა და ნიკოტინის უკვამლო პროდუქტებზე გადავა, ამას შესაძლოა არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ ეკონომიკური ეფექტიც ჰქონდეს.**

კვლევის ავტორი, ბიზნესისა და ჯანდაცვის ეკონომიკის პროფესორი ფრანჩესკო მოსკონე, მიიჩნევს, რომ მწეველთა ქცევის ცვლილებამ და ზიანის შემცირების მიდგომამ, შესაძლოა, შეამციროს მოწევასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციები და ჯანდაცვის სისტემის ხარჯები.

მოსკონე ლონდონის Brunel University-ისა და ვენეციის Caџ Foscari University-ის პროფესორია. მისი კვლევა იტალიის სხვადასხვა რეგიონში თამბაქოს მოხმარების გავრცელებას, ე.წ. თავიდან აცილებად სიკვდილიანობასა და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლებს შორის კავშირს აანალიზებს.

კვლევის ფარგლებში შეისწავლეს, როგორ მოქმედებს სხვადასხვა ქცევითი რისკ-ფაქტორი ჯანდაცვის სისტემაზე. თამბაქოს მოხმარებასთან ერთად, გაანალიზებული იყო ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება და ფიზიკური აქტივობის ნაკლებობაც. კვლევაში გამოყენებულია იტალიის სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის (ISTAT), Eurostat-ისა და სხვა ოფიციალური წყაროების მონაცემები. ავტორებმა რეგრესიული ანალიზის მეთოდები გამოიყენეს იმის შესაფასებლად, თუ რა გავლენას ახდენს აღნიშნული ფაქტორები როგორც სიკვდილიანობაზე, ისე ჰოსპიტალიზაციასა და სამედიცინო რესურსების გამოყენებაზე.

**მწეველთა რაოდენობის 1%-ით შემცირება 331 მილიონი ევროს ოდენობის დანაზოგთან ასოცირდება. კვლევის ერთ-ერთი მთავარი დასკვნის მიხედვით, მწეველთა რაოდენობის 1%-იანი შემცირება, საშუალოდ, ყოველ 10 000 მოსახლეზე ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების 12.76-ით შემცირებას უკავშირდება.**

**თუ ამ მაჩვენებელს იტალიის რეგიონების მასშტაბზე გავავრცელებთ და 2020 წლის მონაცემებს შევადარებთ, ეს, დაახლოებით, 331 მილიონი ევროს დაზოგვას უტოლდება.**

მკვლევრებმა ასევე განიხილეს სცენარი, რომლის მიხედვითაც ზრდასრული მწეველების 50% სიგარეტის მოწევას ისეთი ალტერნატიული პროდუქტებით ჩაანაცვლებდა, როგორიცაა გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები და ელექტროსიგარეტები.

**იტალიის ეროვნული ჯანდაცვის სამსახურის შეფასებით, ამ სცენარის მიხედვით, იტალიის ჯანდაცვის სისტემას მოწევასთან დაკავშირებული დაავადებების მკურნალობაზე გაწეული ხარჯების შემცირების შედეგად, წელიწადში 722 მილიონ ევრომდე დაზოგვის შესაძლებლობა ექნება.იტალიის ჯანდაცვის სისტემისთვის მოწევასთან დაკავშირებული დაავადებების მკურნალობაზე გაწეული ხარჯების პოტენციური შემცირება შესაძლოა მიაღწიოს.**

აღნიშნული თანხები კონკრეტული დაშვებების საფუძველზეა გამოთვლილი და არ წარმოადგენს გარანტირებულ საბიუჯეტო დანაზოგს.

* * *

**კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ზიანის შემცირების კონცეფციაა.**

სიგარეტის შემთხვევაში თამბაქო იწვის. წვის პროცესში კი წარმოიქმნება კვამლი და ათასობით ქიმიური ნივთიერება, რომლებიც მოწევასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების ძირითადი წყაროა.

**ამისგან განსხვავებით, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველ უკვამლო პროდუქტებში წვის პროცესი გამორიცხულია, რაც ამცირებს გამოყოფილი კანცეროგენების რაოდენობას. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული პროდუქტები რისკისგან თავისუფალია, რადგან ისინი შეიცავენ ნიკოტინს, რომელიც იწვევს დამოკიდებულებას.**

ზიანის შემცირების მიდგომაც, სწორედ ამიტომ, იმ ზრდასრულ მწეველებზეა ორიენტირებული, რომლებიც უკვე მოიხმარენ თამბაქოს და, შესაბამისი ალტერნატივის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლოა სიგარეტის მოხმარება გააგრძელონ.

* * *

**ფრანჩესკო მოსკონეს შეფასებით, ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია კონკრეტული პროდუქტის მახასიათებლების გათვალისწინება. თუ ზრდასრული მწეველი სიგარეტიდან თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველ უკვამლო პროდუქტებზე გადადის, ეს შესაძლოა აისახოს მოწევასთან დაკავშირებული დაავადებებისა და ჰოსპიტალიზაციების რაოდენობაზე.**

თუ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები მცირდება, ჯანდაცვის სისტემას გამოუთავისუფლდება როგორც ფინანსური, ისე ინფრასტრუქტურული რესურსები, რომელთა გამოყენებაც სხვა სამედიცინო საჭიროებებისთვის იქნება შესაძლებელი.

**მსგავსი კვლევა დიდ ბრიტანეთშიც ჩატარდა. ბრიტანეთის შემთხვევაში განიხილეს სცენარი, რომლის მიხედვითაც ზრდასრული მწეველების 50% სიგარეტის მოწევას თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი შემცირებული რისკის მქონე კატეგორიის სხვა პროდუქტებით ჩაანაცვლებდა.**

კვლევის შეფასებით, აღნიშნულ სცენარში მოწევასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციების რაოდენობა დაახლოებით 13%-ით შემცირდებოდა, რაც დაახლოებით 518 მილიონი ფუნტის (606.5 მილიონი ევროს) ოდენობის დანაზოგს ნიშნავს. ამასთან, პროგნოზის მიხედვით, საავადმყოფოებში დაახლოებით 30 000 საწოლი გათავისუფლდებოდა, რაც რესურსების უფრო ეფექტიან განაწილებასა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს. იტალიისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითები აჩვენებს, რომ თამბაქოს პოლიტიკა მხოლოდ სიგარეტის ფასის, აქციზის ან მოწევის აკრძალვის საკითხი აღარ არის. დღეს უკვე ცალკე მიმართულებად განიხილება ზიანის შემცირების პოლიტიკა და ის, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ზრდასრული მწეველების სიგარეტიდან გადასვლას თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველ ალტერნატიულ პროდუქტებზე.

**ამასთან, კვლევის შედეგები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მსგავსი პროდუქტების უსაფრთხოების ან რისკის შემცირების მტკიცებულება. მათი გამოყენება კვლავ დაკავშირებულია ჯანმრთელობის რისკებთან და ნიკოტინზე დამოკიდებულებასთან. კვლევის საკითხი შედარებითი რისკისა და ჯანდაცვის სისტემაზე შესაძლო ზეგავლენის შეფასებაა.**



# სპარინგის სკოლაა

**რამდენიმე დღეც და საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით გამართავს კატარის მუნდიალ – 2027-ის შესარჩევი ტურნირის აგვისტოს ფანჯრის მატჩებს – 28-ში თბილისის ქორქია – ჯორჯიკიას სახელობის სპორტის სასახლეში მონტენეგროსთან და ზაფხულის უკანასკნელ დღეს – პორტუგალიაში.**

ბუნებრივია, მოახლოებული უმნიშვნელოვანესი შეხვედრების წინ ჯვაროსანთა სამწვრთნელო შტაბმა გუნდის წევრობის კანდიდატებს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის შანსი ლიბანთან ჩატარებულ სპარინგში მისცა, თუმცა ტრავმებისგან თავი დაიზღვია და **შენგელია – მამუკელაშვილის** დუეტი დაასვენა.

სხვათა შორის, ეს თამაში დახურული გახლდათ და უმაყურებლოდ მოეწყო.

**საქართველო – ლიბანი 93:74**

**საქართველო:** რიდი – 13, ფევაძე – 13, კორსანტია – 11, სანაძე – 10, ბურჯანაძე – 10, ტურძილაძე – 10, ბითაძე – 9, ჯინჭარაძე – 8, მერკვილაძე – 5, ანდრონიკაშვილი – 2, ოჩხიკიძე – 2 ქულა. ითამაშეს აგრეთვე კობახიძემ და ისიანმა.

**მწვრთნელი – ალექსანდრ ჯიკიჩი.**

და ბოლოს: აზიის მე-7 გუნდი ფიბა-ს რეიტინგში 31-ე პოზიციას იკავებს მაშინ, როცა ქვეყანა მუდმივად პოლიტიკურად ტურბულენტურ სივრცეს წარმოადგენს, ხოლო ჩვენი ნაკრები საუკეთესოთა ოცეულს ხურავს.

ჩვენმა ნაკრებმა მორიგი ვარჯიში ისრაელთან სპარინგის წინა დღეს გამართა, რომლის დასკნითი წუთები მასმედიისთვის ღია იყო. თავად ვარჯიში საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა და ის თითქმის მთლიანად სათამაშო კომპონენტების, ეგრეთ წოდებული კომბინაციების დამუშავებას დაეთმო. სერბი სპეციალისტი ჩვენი გუნდის წევრებს როგორც შეტევაში საჭირო სქემებს ამუშავებინებდა, ისე დაცვაში სწორ და საიმედო მოქმედებას აჩვენებდა.

ვარჯიშს ვერ დაესწრო **სანდრო მამუკელაშვილი,** რომელიც ახლა უკვე თბილისშია, თუმცა 2 დღით ის სლოვენიაში, **ლუკა დონჩიჩის** კემპზე იმყოფებოდა, სადაც ბალკანელმა სუპერვარსკვლავმა ლეიკერსის სრული შემადგენლობა დაპატიჟა. მამუკელაშვილი საქართველოში დღის ბოლოს დაბრუნდა და **თორნიკე შენგელიასთან, გოგა ბითაძესთან** და ჩვენი ნაკრების ყველა მოთამაშესთან ერთად ისრაელის წინააღმდეგ მატჩის განაცხადში იყო.



# მცირედის იკმარეთო!

**თბილისის იბერიას უკრაინელი თავკაცი ანდრეი დემჩენკო ამსტერდამის აიაქსში შოთა არველაძის პარტნიორი იყო და არც მალავს, რომ მისი საყვარელი სათამაშო სტილი ტოტალური ფეხბურთია, ჰოლანდიური გრანდის ტაქტიკურ სქემებს კი ჯერ გორის დილაში ნერგავდა, ხოლო ამჟამად საქართველოს მოქმედ ჩემპიონში, სადაც ევროპა ლიგის პლეი ოფის პირველ ფინალურ მატჩს მისი ნახევარსაუკუნოვანი იუბილე დაემთხვა სამწუხარო შედეგით.**

**იაგელონია – იბერია 4:0**

**პირველი ტაიმი 2:0**

მართალია, სტუმრებს თავდასხმის ტრავმირებული ლიდერები – **ბართიშვილი** და **ზედოშვილი** აკლდათ, მაგრამ მაინც აგრესიული პრესინგით ჩაებნენ ბრძოლაში. მათმა აქტიურობამ მხოლოდ 20 წუთი გასტანა, თუმცა დროის დარჩენილმა მონაკვეთმა ისიც დაადასტურა, რომ მთლად აწყობილად არც პოლონელთა დაცვითი მექანიზმი გამოიყურება – მაგალითად, რამდენჯერმე მასპინძელთა მეკარემ **აბრამოვიჩმა** იმოქმედა საიმედოდ, მატჩის ბოლოს კი ძელმაც უშველათ.

ცალკე სასაუბრო თემაა ესპანელი **დე ბურგოსის** მსაჯობა, რომელმაც ჯერ სადავო პენალტით დაგვსაჯა, ხოლო შემდეგ **ნაჭყებიას** გოლი გაგვიუქმა იმ ეპიზოდში, რომელშიც მოედნის ცენტრში წესები თავდაპირველად **დადიანის** წინააღმდეგ ირღვეოდა. ასეა თუ ისე, იაგელონიას უფრო მაღალი კლასი და სოლისტების, გამორჩეულად – ფრანგული ლანსიდან ახლახან დამატებული 20 წლის **აგბონიფოს** ინივიდუალური ოსტატობა გადამწყვეტი აღმოჩნდა და, უდიდესი ალბათობით, შემოდგომიდან კონფერენს ლიგის ჯგუფურ რაუნდს დავაჭაშნიკებთ. ამისთვისაც მადლობა საზურთალოელებს!

**ანდრეი დემჩენკო: ასეთი თამაშის შემდეგ წაგება განსაკუთრებით მტკივნეულია და დიდი ანგარიშით მარცხს არ ვიმსახურებდით. იძულებული ვარ ყურადღება სკანდალურ მსაჯობაზე გავამახვილო. დიახ, მეგონა, რომ ევროტურნირებზე ამ მხრივ პრობლემები არ შეგვექმნებოდა, მაგრამ შევცდი.**

# სრული თაიგული



**სერბეთის ქალაქ ლოზნიცაში, სადაც 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე 36 ქვეყნის 380-მდე მოკრივეს შორის საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი, ჩვენმა გუნდმა სამივე ხარისხის მედალი მოიპოვა.**

ტურნირი ყველაზე წარმატებული გამოდგა **შალვა ბერიძისთვის** (50 კგ). 17-წლამდელებში 2025 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ბრწყინვალედ იასპარეზა, ხუთიდან ხუთი შეხვედრა მოიგო და ჩემპიონობა იზეიმა. ბერიძემ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ირლანდიელი მეტოქე დაამარცხა.

ფინალამდე გაიკვალა გზა **აკაკი ბასარიამაც** (70 კგ). ევროპის მოქმედ ჩემპიონს 2025 წლის ტიტულის შენარჩუნებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა – ოქროს მედლისთვის შეხვედრაში ირლანდიელ **ჯონ მაჰერთან** დამარცხდა და კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა. ნაკრებს ბრინჯაოს მედალი მოუპოვა 2025 წლის ევროპის ჩემპიონატის კიდევ ერთმა ფინალისტმა, **დავით მხეცაძემ** (80 კგ).

# სამშობლოს დაძახილზე

**მართალია, აქვსენტი გიორგაძე 100-მატჩიანი ცენტურიონი ვერ გახდა, მაგრამ ბორჯღალოსანთა კვართით 64 კეპი მაინც მოიხვეჭა და სანაქებო სანაკრებო კარიერა 11 ლელოთი პირნათელმა დაასრულა.**

ქუთაისის აია, ფრანგული ტულონი, კასტრი, ტულუზა და იტალიური როვიგო ის კლუბებია, სადაც მან ძვირფასი გამოცდილება შეიძინა, რომელსაც ამიერიდან სამამულო სპორტს საქართველოს რაგბის კავშირის მაღალი მიღწევების დირექტორის კონსულტანტის პოზიციიდან მოახმარს:



**„ჩემი ფუნქცია საქართველოს ეროვნული, 20 და 18-წლამდელთა ნაკრებების მწვრთნელებთან კოორდინაციაა. უნდა აღვწერო საფრანგეთის ტოპ – 14-ის, პრო დე 2-სა და ნაციონალ დივიზიონის კლუბებში, ასევე მათ ესპუარებში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა კარიერული წინსვლა და განვახორციელო მათი მუდმივი მონიტორინგი, რათა საუკეთესონი შეირჩნენ.**

**ფრანგულ გუნდებთან სისტემატური კომუნიკაცია მექნება და მათთან ჩვენი ნაკრებების გეგმებს შევათანხმებთ, რათა მოთამაშეთა გამოძახებისას პრობლემები არ შეიქმნას, ასევე მწვრთნელებს მივაწვდი ინფორმაციას ბიჭების ტრავმების, სათამაშო კონდიციების, ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ და მერე არჩევანს თვითონ მწვრთნელები გააკეთებენ.**

**დიდი ხანია საფრანგეთში ვმოღვაწეობ და თუ არის იმის შანსი, რომ დაგროვებული გამოცდილება ქართულ რაგბის მოვახმარო, ამას აუცილებლად გავაკეთებ. ჩემი სურვილია, დავეხმარო ახალგაზრდა მოთამაშეებს განვითარებაში, აგრეთვე გავხსნა შესაძლებლობები ქართველ მწვრთნელთათვის, რომ მათ ჰქონდეთ პირდაპირი კომუნიკაცია ფრანგ კოლეგებთან.**

**მოკლედ, ალბათ ნელ-ნელა ყველანი დავუბრუნდებით ქართულ რაგბის გამოცდილების გასაზიარებლად“.**



# დავიცვათ ტრადიციები

**5 გამარჯვება, 2 მარცხი და საბოლოო მე-5 ადგილი ბურთების საერთო შეფარდებით 102:76 – ასეთი საშუალო შედეგით დაასრულეს 20-წლამდელმა ქართველმა წყალბურთელებმა პორტუგალიურ ოეირაში გამართული ევროპის ჩემპიონატის პირველი დივიზიონი 12 გუნდის მონაწილეობით.**

ჯგუფურ რაუნდში დისკვალიფიკაციამოხდილ ფავორიტთან რუსეთთან სტარტზევე ასე თუ ისე ლოგიკურად შევრცხვით – 11:21, პოლონეთთან წაგებას კი ძნელია გამართლება მოვუძებნოთ – 11:12. ასეა თუ ისე, მასპინძლებთან – 20:11, ფინეთთან – 14:7 და ლიეტუვასთან – 16:6 დაგეგმილი წარმატებები მოვიპოვეთ, მათ ბელარუსიც მივაყოლეთ პლეი-ოფში – 17:7 და მე-5 ადგილისთვის ბრძოლაში უკრაინის ნაკრებს შევხვდით.

უმცროს ჯვაროსნებს უმძაფრესი თამაში უკანასკნელ წამზე გატანილი გოლით **ყურაშვილმა** მოაგებინათ – 13:12.

**ჩვენი ბიჭების ინდივიდუალური მონაგარი:** ჭუბაბრია – 15, რამინიშვილი – 14, ყურაშვილი – 13, ვეშაგური – 11, აბესაძე – 9, ხურცილავა – 9, რუბაშვილი – 8, გიორგობიანი – 8, ხუციანიძე – 7, იობიძე – 5, ლანდია – 3 გოლი. სატურნირო განაცხადში იყვნენ აგრეთვე გუჯარაიძე და მეკარეები – მაჭავარიანი და ბაბიაშვილი.

ზემოთ შემთხვევით არ გაგვისვამს ხაზი პოლონეთთან ფიასკოზე. თუ გავიხსენებთ, რომ შარშანდელ ფორუმზე ჩვენი ეროვნული ნაკრები თურქებთან დამარცხდა, ერთი შეხედვით ქართული წყალბურთის პროგრესის მიუხედავად, ნურც გამოწვევებს წავუყრუებთ.

# დოპინგის მსხვერპლი

**31 წლის ავსტრალიელმა ვეტერანმა ნიკ კირგიოსმა დოპინგ – ტესტი ჩააგდო და საერთაშორისო ჩოგბურთის კეთილსინდისიერების სააგენტომ (ITIA) დროებით საქმიანობას ჩამოაშორა. ინფორმაცია თავად კირგიოსმა სოციალური ქსელის საშუალებით დაადასტურა.**



მის ანტიდოპინგურ ნიმუში, რომელიც მალიორკაზე 22 ივნისს აიღეს, კოკაინის მეტაბოლიტი ბენზოილეკგონინი აღმოჩნდა. დროებითი დისკვალიფიკაცია 4 აგვისტოდან მოქმედებს.

კირგიოსმა მის ამ ქმედებას შეცდომა უწოდა და სოციალურ ქსელში გულშემატკივრებს მოუბოდიშა.

**„ჩემს მიერ ჩაბარებულ ნიმუში კოკაინი აღმოჩნდა. ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი და ამაზე სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ. ბოდიშს ვუხდი ჩემს გულშემატკივრებს, ოჯახს, სპონსორებსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემთან ახლოსაა. ყველაზე მეტად კი იმ ბავშვებს ვუხდი ბოდიშს, რომლებიც მე მისაბაძად მთვლიდნენ. მესმის, რა მაგალითს ვაძლევ მათ და საკუთარი თავის მიმართ ძალიან იმედგაცრუებული ვარ“,** – განაცხადა **კირგიოსმა.**

ნიკ კირგიოსმა 2026 წელს მხოლოდ 4 შეხვედრა ჩაატარა, საიდანაც ერთი მოიგო.

საქართველოს რესპუბლიკა



# აშშ-ის ფედერალურმა მოსამართლემ გააუქმა დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება!

**აშშ-ის ფედერალურმა მოსამართლემ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება გააუქმა, რომლითაც 75 ქვეყნის მოქალაქეებისთვის საიმიგრაციო ვიზების გაცემა შეჩერდა,** – ამის შესახებ „სიენენი" წერს.

**დონალდ ტრამპის** გადაწყვეტილება ეხებოდა, მათ შორის, საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს.

**აკრძალვა ეხებოდა საიმიგრაციო ვიზებს – ოჯახის წევრებთან შეერთების ან სამუშაოს დაწყების მიზნით, მაგრამ არ ვრცელდებოდა არაიმიგრაციულ ვიზებზე, როგორებიცაა ტურისტული ან სტუდენტური ვიზები.**

მოსამართლის განცხადებით, სახელმწიფო მდივანს, მარკო რუბიოს ამის გაკეთების უფლება არ ჰქონდა და აღნიშნული პოლიტიკა კანონს ეწინააღმდეგებოდა.

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციაში აღნიშნავდნენ, რომ საიმიგრაციო ვიზებზე უარის თქმა საჭირო იყო, რადგან ამ ქვეყნების მოქალაქეები, სავარაუდოდ, სახელმწიფო შეღავათებით ისარგებლებდნენ. ხოლო სასამართლომ დაადგინა, რომ სინამდვილეში უარს ეუბნებოდნენ ისეთ ადამიანებსაც, რომლებსაც აშკარად შეეძლოთ საკუთარი თავის რჩენა, ყოველგვარი დახმარების გარეშე. კანონით კი, თითოეული განმცხადებელი ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, ამიტომ ეს გადაწყვეტილება კანონის დარღვევად ჩაითვალა.

**სიაში შესული 75 ქვეყნის უმეტესობა აფრიკის, ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის, აღმოსავლეთ ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებია, მათ შორის არიან აშშ-ის მოკავშირეებიც – იორდანია და ეგვიპტე.**

**როგორც „სიენენი" იტყობინება, გადაწყვეტილება აუქმებს ყველა იმ სავიზო უარს, რომელიც მხოლოდ აღნიშნულ პოლიტიკას ეფუძნებოდა და შესაძლოა, ათასობით განაცხადის ხელახალი განხილვა გახდეს საჭირო. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას შეუძლია, გადაწყვეტილება გაასაჩივროს.**

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი", როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გიორგი შაშურაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი შაშურაშვილი (პ/ნ 20001013122), თელავის რაიონი, სოფელი ვარდისუბანი, ნატკორის 1 შესახვევი N4

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თელავის რაიონი, სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 4220კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 53.08.36.375)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14105.39 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 24 აგვისტო, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 7 სექტემბერი, 14:30 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP131794526; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1317945)

**8. მოვალე:** გიორგი შაშურაშვილი (პ/ნ 20001013122), თელავის რ-ნი, სოფელი ვარდისუბანი, ნატკორის 1 შესახვევი N4.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი".

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 7 სექტემბრის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში" მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3, ან ელექტრონულ ფოსტაზე: ghviniashvili@gmail.com

# დები როგავების ტრაგედია ყულიშკარში




**ყულიშკარში** სამი ადამიანის გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, კვებითი ინტოქსიკაცია გახდა. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილია როგავების ოჯახის სამი წევრი, სამი და. მათი ცხედრები სახლში მეზობელმა იპოვა.

როგორც ადგილობრივები ყვებიან, დები ქუჩაში 3 დღის განმავლობაში არ გამოსულან, მოგვიანებით კი სამეზობლო უცნაურმა სუნმა შეაწუხა, რის შემდეგაც როგავებს სახლში მიაკითხეს. სწორედ ამის შემდეგ გამოიძახეს მათ ადგილზე სამართალდამცველები. გარდაცვლილები არიან 60 წლის ტყუპი დები, ასევე უფროსი და – **ნაირა, დალი** და **ლორიტა როგავები.**



# 22 წლის ლევან ფირცხალაიშვილი გარდაცვლილი იპოვეს!

**გარდაცვლილის ოჯახმა განცხადება გუშინ გაავრცელა. არსებული ინფორმაციით, ბოლოს ახალგაზრდა ბათუმში იმყოფებოდა.**

როგორც ფეისბუქგვერდმა „ბათუმმა" გაავრცელა, 22 წლის ახალგაზრდა ზღვაში გარდაცვლილი იპოვეს. სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

# ტრაგედია დევნისას...

**ინგლისის ქალაქ მიდლზბროსთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად შვიდი ადამიანი, მათ შორის ორი პოლიციელი დაიღუპა.**

„სქაი ნიუსის" ცნობით, შემთხვევა მას შემდეგ მოხდა, რაც პოლიციელები საეჭვოდ და არასწორი მიმართულებით მოძრავ Volkswagen-ის მარკის ავტომობილს დაედევნენ.

მედიის ცნობით, დევნისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპული ყველა პირი იდენტიფიცირებულია, თუმცა ოფიციალური უწყება ხუთი მათგანის ვინაობას არ ასაჯაროებს. ჯერჯერობით გასაჯაროებულია მხოლოდ დაღუპული პოლიციელების ვინაობა – ისინი 37 წლის მეთიუ ბლეიდსი და 38 წლის ტომ კლაფი არიან.

# ჯგუფურად ჩადენილი კიბერდანაშაულის ბრალდებით ორი პირი დააკავეს!




**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა კომპლექსურად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებაში ჯგუფურად, უნებართვოდ ჩარევის ბრალდებით 2 პირი დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა ერთ-ერთი ბანკის კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო ჩარევით დიდი ოდენობით ფინანსური სარგებლის მიღება განიზრახეს. ბრალდებულებმა დანაშაულებრივი გეგმა სისრულეში მოიყვანეს – ბანკის კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებაში ჯგუფურად, უნებართვოდ ჩაერივნენ, რის შედეგადაც ბანკს 374 715 ლარის ოდენობის ფინანსური ზიანი მიაყენეს. სამართალდამცველებმა დამნაშავე პირები ბრალდებულის სახით მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. დანაშაული 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ჩინურმა რობოტებმა უსეინ ბოლტის რეკორდი მოხსნეს

**პეკინში, ჰუმანოიდური რობოტების მსოფლიო თამაშებზე, ჩინურმა ჰუმანოიდმა რობოტმა საკვალიფიკაციო რბენაში 100-მეტრიანი დისტანცია 9,39 წამში გაირბინა. ამით მან კაცთა შორის მსოფლიო რეკორდი (9, 58 წამი) გააუმჯობესა, რომელიც გამოჩენილ იამაიკელ სპრინტერს, უსეინ ბოლტს ეკუთვნის.**




პეკინის ჰუმანოიდური რობოტების ინოვაციური ცენტრის მიერ შექმნილმა Tiangong Ultra-მ რბენაში გაიმარჯვა. რობოტმა ფინიშთან ახლოს გადაუსწრო სმარტფონების მწარმოებლის, Honor-ის რობოტ Lightning-ს, თუმცა რბენის დასაწყისში ჩამორჩებოდა. Lightning-მა ფინიშის ხაზი 9,47 წამში გადაკვეთა, რაც ასევე ბოლტის რეკორდზე ნაკლებია. Reuters-ი წერს, რომ ეს შედეგები შარშანდელ ჩემპიონატთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან 2025 წელს Tiangong Ultra-ს 100-მეტრიანი დისტანციის დასაფარად 21, 50 წამი დასჭირდა.

**ჩინეთი ჰუმანოიდური რობოტები სტრატეგიულად განვითარებად დარგად მიაჩნიათ. პოლიტიკოსები და კომპანიები ფსონს დებენ იმაზე, რომ ხელოვნური ინტელექტისა და აპარატული უზრუნველყოფის სფეროში მიღწეული პროგრესი წარმოებაში, ლოგისტიკასა და სამომხმარებლო სფეროებში მათ გამოყენებას დააჩქარებს.**



# ოშკის ტაძარში წმინდა ნინოს ბარელიეფი გააქრეს!

**ტაო-კლარჯეთში მდებარე ოშკის ტაძარში წმინდა ნინოს ბარელიეფი რვაწახნაგა გურჯზე აღარ არის. ტაძარში აღარაა ვედრების გამოსახულებაც.**

გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ამოტეხეს, რათა მუზეუმში გაეტანათ, თუმცა მათი ადგილმდებარეობის შესახებ საზოგადოებამ არაფერი იცის.

# სიღნაღი IV საერთაშორისო არტ ფესტივალს უმასპინძლებს

**25□29 აგვისტოს ქალაქი სიღნაღი რიგით IV საერთაშორისო არტ ფესტივალს უმასპინძლებს.**

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, 6 დღის განმავლობაში სიღნაღი ქართველი და უცხოელი ფერმწერების, ასევე სკულპტორების საერთაშორისო შეხვედრისა და შემოქმედებითი პროცესის სივრცედ გადაიქცევა.

**□კონკურსის მონაწილეები ადგილზე შექმნიან თავიანთ ნამუშევრებს. ფესტივალს ტრადიციულად კონკურსის სახე ექნება. 29 აგვისტოს, ქართველი და უცხოელი პროფესიონალებისგან შემდგარი საერთაშორისო ჟიური კონკურსის გამარჯვებულს გამოავლენს.**

**ფესტივალი ხელს შეუწყობს კულტურათა შორის დიალოგს, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებასა და ახალი შემოქმედებითი კავშირების ჩამოყალიბებას.**

**პროექტი საქართველოს კულტურის სამინისტროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება□** □აღნიშნულია ინფორმაციაში.




# ღიმილი...

**– ზაურა, ბიჭო, სამი ცოლი გყავდა და რა დასკვნამდე მიხვედი ბოლო-ბოლო?**

**– რა დასკვნამდე და, საღ ჭკუაზე მყოფმა კაცმა ცოლი არ უნდა შეირთოს, ყველა ცოლი ერთნაირია, გვარ-სახელები აქვთ მხოლოდ სხვადასხვა და კიდევ ის, რომ მაგარი გამოქლიავებული კაცი ვარ!**

* * *

**ზევრი მამაკაცი თავის ფულს რაღაც სისულელეებზე ხარჯავს, ეს „სისულელე" კი, ყველა სიკეთესთან ერთად, თან იპრანჭება, თან ტვინს ბურღავს და გამუდმებით ეკითხება: „ძვირფასო, მართლა ძალიან, ძალიან გიყვარვარ?"**



* * *

**მეგობარი – ეს ისეთი კაცია, რომელიც მშვენივრად გიცნობს და, მიუხედავად ამისა, მაინც უყვარხარ...**

* * *

**ზოგიერთი პოლიტიკოსი სახურავზე ამძვრალ საქონელს ჰგავს: უყურებ და გაოცებას ხარ – როგორ აძვრა ეს პირუტყვი ამ სიმაღლეზე?**

* * *

**ამ ცხოვრებაში დაუმსახურებლად მხოლოდ ქოთის მიღება შეიძლება...**

* * *

**როცა სტუმრად გეუბნებიან – „მოშინაურდი!", მთავარია შარვლის ჩახდა არ დაიწყო!**

* * *

**– რატომ გამოგაგდო სახლიდან ქმარმა?**

**– იმიტომ რომ აქამდე ჩემთვის არავის უთქვამს, რომ შერიგების სექსი თურმე მაინცდამაინც იმ კაცთან უნდა გქონდეს, ვისთანაც წაიჩხუბე!**

* * *

**თუ რამე არ მოგწონს – შეცვალე! თუ არ ცვლი – ნუ წუწუნებ!**

* * *

**თუკი კაცს ცხოვრებაში რაღაც გაკლია, იქნებ ის შენთვის საჭირო სულაც არ არის?!**

* * *

**თუ იდიოტს ეკამათები, მაშასადამე უკვე ორნი ხართ!**

# გიხმობთ დავით წერედიანის სახელობის ლიტერატურული პრემია „ანარეკლი"

**მწერალთა სახლი აწესებს დავით წერედიანის სახელობის ლიტერატურულ პრემიას □ანარეკლი□ – მხატვრულ თარგმანში.**

მწერალთა სახლის ინფორმაციით, დავით წერედიანის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი ცხადდება წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის 19 აგვისტოს – პოეტისა და მთარგმნელის დაბადების დღეს.

**□საკონკურსო თარგმანი შესრულებული უნდა იყოს ქართულიდან უცხო ენაზე ან უცხო ენიდან ქართულად.**

**საკონკურსოდ განიხილება ბოლო 3 წლის განმავლობაში წიგნად გამოცემული პოეტური (ევროპული კლასიკური ფორმები, აღმოსავლური ფორმები, თანამედროვე და თავისუფალი ფორმები), ან პროზაული (რომანი, მოთხრობა, მცირე პროზა – ნოველა, ზღაპარი, მინიატიურა) კრებული, ასევე კონკრეტული პოეტური ან პროზაული თარგმანი (გამოქვეყნებული ბოლო 3 წლის განმავლობაში სხვადასხვა ლიტერატურულ პერიოდიკაში).**




**პრემიის მოსაპოვებლად კონკურსანტს შეუძლია წარმოადგინოს საკონკურსო განაცხადი როგორც წიგნად, ასევე ელექტრონული ფორმით.**

**პრემია გაიცემა 6 ნომინაციაში: კონკურსის გამარჯვებულთა გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება მიმდინარე წლის დეკემბრის პირველ კვირაში. საკონკურსო განაცხადები მიიღება 2026 წლის 19 აგვისტოდან 30 სექტემბრის ჩათვლით.**

# გონიო-აფსაროსის მიწაზე ანტიკური პერიოდის მონეტა აღმოაჩინეს

**აჭარაში, გონიო-აფსაროსის ციხეზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად, საქართველოში პირველად იქნა აღმოჩენილი ნეოკესარიის ნახევრად ავტონომიური, მცირე ტირაჟით მოჭრილი ბრინჯაოს მონეტა, რომელიც 184-185 წლებით თარიღდება, –** ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.

**„აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, აჭარის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული უნიკალური აღმოჩენით, საქართველოს ნუმიზმატიკურ კოლექციას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ექსპონატი შეემატა.**

**2026 წელს არქეოლოგიური ექსპედიციები ჩატარდა გონიო-აფსაროსის, პეტრასა და კავიანის ციხეების ტერიტორიებზე და კვლევითი სამუშაოების შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი არტეფაქტი გამოვლინდა, მათ შორის აღსანიშნავია განსაკუთრებული სამეცნიერო და ნუმიზმატიკური ღირებულების მქონე მონეტები.**

**რეგიონში არქეოლოგიური კვლევები გრძელდება. ამ ეტაპზე გათხრები ფიჭვნარის ანტიკური სამაროვნის ტერიტორიაზე მიმდინარეობს და პარალელურად, დაგეგმილია სამუშაოების წარმოება აჭარის რეგიონის სხვადასხვა ლოკაციაზე".**

გონიო-აფსაროსში არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოში პირველად ნეოკესარიის იშვიათი ბრინჯაოს მონეტა აღმოაჩინეს (184–185 წწ.).



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „ტორში"
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 27 აგვისტოს**